


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინც ბეჭდუ-  
რები სიფყვას, ცუდილებით და ჭბებით ბუტ-  
თის გაცანა ყველა უჯანდისბზაჟ უსამბაგლესია.

ი. ა. შავლაძე

პარასკევი, 6 ოქტომბერი. 2017 წ. №205 (8342), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## საპარტიზმს წარმოუშვებ ან უიფილი ან კალიან დიდი სიბდიდრა!.. ③-⑧



### პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრა კონკრეტული შეთანხმებით დასრულდა

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტისა და 20-მდე ოპოზიციური პარტიის შეხვედრა კონკრეტული შეთანხმებით დასრულდა.

უმრავლესობის მომართვის საფუძველზე, პრეზიდენტი ვეტოში უცვლელად ასახავს უმრავლესობის წინადადებებს.

პრეზიდენტი ვეტოში გაიმეორებს ასევე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ხელმძღვანელების პოზიციას 2020 წელს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, საკითხზე, რომელიც პრინციპულ წინააღმდეგობაშია ქართველი საზოგადოების პოზიციასთან, პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლასთან დაკავშირებით – ამ წინააღმდეგობის დაძლევის ვერსიად, პრეზიდენტი, ვენეციის კომისიის სულისკვეთების გაზიარებით, სთავაზობს უმრავლესობას, რომ პრეზიდენტის არჩევის საკითხი მომავალში გადაწყვიტოს ორპალატიანმა პარლამენტმა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი პოზიცია უზრუნველყოფილია პარლამენტში ოპოზიციის ხმებით, რაც განაპირობებს იმას, რომ „ქართული ოცნების“ პრინციპული პოზიციები გატარდება ცხოვრებაში და კონსტიტუცია აღარ იქნება ერთპარტიული დოკუმენტი. ამავე პოზიციას მხარს უჭერს არასაპარლამენტო ოპოზიციაც. ამ ყველაფრის ერთობლიობით, შესაძლებელი იქნება, ქართული დემოკრატია გადავიდეს პოლიტიკური დისკუსიის, კომპრომისის და კონსენსუსის მიღწევის ევროპულ სტანდარტზე.

### თუ ყველაფერს სტრასბურგის სასამართლო გვინყვავებს, ჩვენ ჩვენი სასამართლო რიტასთვის გვინდა?! ②



### ქვეყანა გუკიკოს კარნახით პერ ივლის... ④




არაღა, ღროა,  
თუ უკვე  
დაგვიანებული  
არ არის....

### პებრა დიდი - ბებრატიონთა უთამოგაპალი? ⑥

ვინ იყვნენ პირველი  
ქართველი დასავლეთ-  
ევროპელები? ⑦

### ბუზი სააკაშვილს კონფიდენსიალურად აფრთხილებდა, მებრამ... ⑧



### დიდი „ჯოსოსანი“ დიდიმ მირსხულაპა ⑨



# თუ ყველაფერს სტრასბურგის სასამართლო გვინჯავს, ჩვენ ჩვენი სასამართლო რიგსთვის გვინდა?!



ვითომ ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ? თანაც, კიდევ დამოუკიდებელი თავისუფალი, დემოკრატიული. კი, ბატონო, მაგრამ სინამდვილე მაინცდამაინც მთლად ასე არ გამოიყურება.

ამ ვითარების დასადასტურებლად მარტო ერთი „ცრუსთავი-2“-ის საქმეც კმარა... ქართული მართლმსაჯულება უბადრუკ, საცოდავ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა, ისე უზენაესმა ეს აშკარად ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული ტელეარხი თავის კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს.

მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ დაბრუნებას! აგერ უკვე თითქმის ექვსი თვეა, რაც სტრასბურგმა ვითომ სიმართლის დასადგენად დაბლოკა ეს საქმე და არც ჰო-ს ამბობს, არც არა-ს... ამასობაში, თვითნათლიობის პრინციპით, დაშინავე ნაციონალების ერთპარტიულმა, ყველაფერს მკადრებელმა პროპაგანდის-

ტულმა მანქანამ, ანუ „ცრუსთავი-2“-მა თავი ქვეყნის მთავარ არხად გამოიცხადა, ხოლო ამ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, რომლის კანდიდატურაც ნაციონალებმა ჩვენი დედაქალაქის მერად წამოაყენეს, ყოველ წინასაარჩევნო შეხვედრაზე ხმაძალა გაჰყვიროს, ჩვენი „ცრუსთავი-2“ საბოლოოდ გადავარჩინეთო...

ამ დროს არც ხელისუფლების მხრიდან და არც თვითონ უზენაესი სასამართლოს მხრიდან ჩამიჩუმე არ ისმის. არადა, საზოგადოებრიობა გაურკვევლობაშია, ვერ გაუგია, რა ხდება. ნუთუ სიმართლეს ამბობენ სხვა დანარჩენი ოპოზიციური პარტიები, რომ „ოცნება“ გარიგებულია ნაციონალებთან, რაც დაუჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრს სჯერა. ეს ამბავი კი ამ ბევრს წინასაარჩევნოდ „ოცნების“ წინააღმდეგ განაწყობს.

კი, ბატონო, ვიაროთ დასავლეთისკენ, ოღონდ ისე ნუ ვიზამთ, რომ ყველა ჩვენს პრობლემას დასავლეთი გვინყვეტდეს. კონსტიტუციაც კი უბუკიკოდ ვერ მიგვიღია.

უთუოდ სწორია პრემიერი, როდესაც ამბობს, უფრო თამამად ვილაპარაკოთ სიმართლეო. მაგრამ ეს მიმართვა უწინარესად თვითონ ხელისუფლებას ეკუთვნის. დღეს ისეთი პოლიტიკური ვითარებაა შექმნილი, რომ ხელისუფ-

ლება ასე ეპიზოდურად კი არა, უფრო ხშირად, თითქმის ყოველდღიურად უნდა ელაპარაკოს საზოგადოებას და მართო იმის იმედად არ უნდა იყოს, რომ სიკეთე თავისით სძლევს ბოროტებას. არადა, აშკარაა, რომ ბოროტი ძალები შეტევაზე არიან და მთელი 24 საათი მთელი დატვირთვით ამუშავებენ ამ ეგრეთ წოდებულ „მთავარ არხს“, რომელიც ყოველგვარი სიბინძურის მქადაგებელთა და ვილაც-ვილაცებისგან მოსყიდული არასამთავრობოების თბილ ბუდედ იქცა, საიდანაც ნიაღვრად იღვრება მხოლოდ და მხოლოდ გესლი. უარყოფელი კი არავინ არა ჩანს.

ის კი არა, ამ „ცრუსთავი“, რომელიც

ვითომ უსახსრობას უჩივის, წინასაარჩევნოდ რამდენიმე მილიონად ამერიკული „ნათელმხილველები“ დაიჭირა. განა საკითხავია, ისინი ვის სასარგებლოდ „ინათელმხილველები“?!

ასე რომ, ვიშურე სააკაშვილის კარზე გვპარინად მსხვილმა ნარჩენებმა, თანაც რამდენიმე ფრონტად გაშლილმა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ხილული თუ უხილავი მომიტოვებულმა ხელისუფლებას, რომელიც რატომღაც ოლიგარქი სიმშვილეს ინარჩუნებს, რაც, რომორც ცხოვრება გვინჯავს, ხშირად არადა არ მთავრდება კარგად.

გურამ ნიკლაური



## გაპირსა: საპარტიულოდან ნარდგენილი მოსამართლეობის საივე კანდიდატი კომიტეტმა მოინონა



იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სტრასბურგში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეობის საივე კანდიდატი კომიტეტმა მოინონა. უწყების ინფორმაციით, რეკომენდაცია გაენია ლადო ჭანტურიას, რომელიც კომიტეტში დამსრე წევრების უმრავლესობამ მოინონა.

„კომიტეტმა მოინონა ქვეყნიდან გაგზავნილი „სამპირიანი“ სია. რეკომენდაცია გაენია ბატონ ლადო ჭანტურიას. ამით მეორე ეტაპი დასრულდა და მესამე ეტაპს ვინყვებთ, რომელიც მომავალ კვირებში გაიმართება,“ – თქვა თეა წულუკიანიმა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში არსებული თანამშრომლობის და სამომავლო პერსპექტივების საკითხები განიხილეს. მინისტრებმა ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ერთობლივ მონაწილეობაზეც გაამხილეს ყურადღება. ლევან იზორიას განცხადებით, საქართველო მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების თვალსაზრისით, საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ მხარდაჭერას განაგრძობს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გერმანელ კოლეგას ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) შესახებაც მიანოდა, რომლის განხორციელებასაც ქართული მხარე აშშ-სთან ერთად 2018 წლიდან იწყებს. საუბარი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაციის კუთხით გერმანული მხარის მიერ განუღ დახმარებასაც შეეხო. საქართველოში ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ურსულა ფონ დერ ლაინი ესტუმრა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას (DIB), რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში გერმანული მხარის დახმარებით ჩამოყალიბდა.

## კანადა საპარტიულო მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერია!

საპარტიულო ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე საქართველოში კანადის საელჩოს მიერ ორგანიზებულ მიღებას დაესწრო, რომელიც საქართველოსა და კანადის შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილის და კანადის კონფედერაციის შექმნის 150 წლის იუბილეს მიეძღვნა.

მიღებაზე დამსრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საგარეო საქმეთა მინისტრმა მი-



ხეილ ჯანელიძემ, საქართველოში კანადის ელჩმა კრისტოფერ კუტერმა (რეზიდენციით ქ. ანკარა) და ევროკავშირისა და ევროპაში კანადის სპეციალურმა წარმომადგენელმა სტეფან დიონმა. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ვრცლად ისაუბრა საქართველოსა და კანადის შორის არსებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე, მინისტრმა საზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას.

„დღეისათვის ჩვენ ვსარგებლობთ კანადის მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერითა და გამორჩეული თანამშრომლობით თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე დემოკრატიული და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. ამავდროულად, მიგვაჩნია, რომ არსებობს უაღრესად დიდი პოტენციალი ჩვენ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გასაძლიერებლად“, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

## გერმანიის თავდაცვის მინისტრი საქართველოში

საპარტიულო პირველად ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი სტუმრობდა. ურსულა ფონ დერ ლაინს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია მასპინძლობდა.

საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო ჰიმნების ფონზე დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, ვიზიტი მინისტრების შეხვედრით გაგრძელდა. ლევან იზორიამ კოლეგას გერმანიის პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.



## ალეკო ელისაშვილი ნამდვილად არ არის ჩემი მთავარი კონკურენტი!

„ძარბაზის ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ალექო ელისაშვილის უკუენ მეორე გამოწვევას, დებატებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ელისაშვილი მისი მთავარი კონკურენტი არ არის:

„ჩვენ დებატებში ვმონაწილეობთ, ამის პრობლემა „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია, ამის პრობლემა კახა კალაძეს არ გააჩნია. ალექო ელისაშვილი ნამდვილად არ არის ჩემი მთავარი კონკურენტი – ჩემი მთავარი კონკურენტი ის პრობლემებია, ის ტკივილი და წუხილი, რომელიც დღეს ქალაქს აწუხებს. მე მოვდივარ იმისთვის, რომ ვმართო ქალაქი და როგორც ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება – დებატები ენება თუ სხვა მიმართულება, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა“, – განაცხადა კახა კალაძემ. ალექო ელისაშვილმა კახა კალაძე ტელედებატებში კიდევ ერთხელ გამოიწვია და განაცხადა, რომ კალაძე თუ დათანხმდება ტელედებატებს, ის მზად არის ამის შემდეგ მას ნებისმიერ სტადიონზე ფეხბურთიც ეთამაშოს.



## ევროკავშირი ნაპრად მხოლოდ უსაბუთო პლიარებს!

მკომუნიკისა და ფინანსების საკითხებში ევროკომისარი პიერ მოსკოვისი აცხადებს, რომ ევროკავშირი წვერად მხოლოდ ესპანეთს აღიარებს და თუ კატალონია დამოუკიდებელი გახდება, ის ვერ მიიღებს წევრობას ევროკავშირში. მისივე თქმით, კატალონიის დამოუკიდებლობა პოლიტიკური ფანტასტიკის სფეროს ეკუთვნის.

„წარმოვიდგინოთ, რომ კატალონიამ დამოუკიდებლობა მიიღო, ამ მომენტიდან დამოუკიდებელი კატალონია არ იქნება ევროკავშირის წევრი. ევროკავშირი მხოლოდ ერთ წევრ ქვეყანას იცნობს, ეს ესპანეთია“, – განაცხადა პიერ მოსკოვისიმ.

# საპარატიზმს ნარკოზომს ან შიშხილი ან კალიან დიდი სიფილირა!

## ამას კატალონიის აბაალითის ადასტურებს

მსაბნატიის არსებობას შეიძლება საფრთხე დაემუქროს, თუკი მასში შემავალი 17 ავტონომიური ერთეული კატალონიის მაგალითს მიბაძავს და დამოუკიდებლობის მიზნით უკანონო რეფერენდუმს ჩაატარებს.

კატალონიაში რეფერენდუმმა პოლიციასთან შეტაკების ფონზე ჩაიარა. პოლიციელებმა საარჩევნო უბნებიდან კატალონიელების ძალით გაყვანა დაიწყეს. ამით პოლიცი-

ელებმა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადამწყვეტილება შესარულეს, რომელმაც კატალონიის პარლამენტის მიერ მიღებული თვითნებური გადაწყვეტილება რეფერენდუმის გამართვის თაობაზე შეაჩერა. რას მიჰლენენ კატალონიელები? ამის შესახებ ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში, ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** გვესუბრება:



ცია, როცა ლამის ყველა მეზობელი კბილებს ილესავს, რომ რამეს გამოგვრჩეს.

— კატალონიის მთავრობას, ალბათ, უფრო გაუადვილდება და მიზნის მიღწევა, საქმეში რომ არ იყოს ჩართული მესამე მათაშე — ევროკავშირის სახით, რომელშიც ესპანეთი მჭიდროდაა ინტეგრირებული.

— რასაკვირველია, ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წევრია ესპანეთი და, ცხადია, ევროკავშირი არ დაუშვებს სეპარატიზმის ნახალისებას. ბევრ ქვეყანაშია ეს პრობლემა, თუნდაც ბელგიაში. სიტუაციის გამწვავება არავის უნდა. ევროპაც და მთელი მსოფლიოც გადაცეცებით უყურებს, რა მოხდება კატალონიაში. ამიტომ ვითომც ჩატარდება ეს რეფერენდუმი, ამას მოჰყვება სამართლებრივი შეფასებები, ესპანეთი კი რეფერენდუმის შედეგებს არ ცნობს. ისეც არ არის საქმე, რომ ყველა კატალონიელი ესპანეთიდან გასვლის მომხრეა. შესაძლოა, უმრავლესობა გასვლის მომხრე იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს მაინც ვერაფერს შეცვლის. ამის შემდეგ სიმტკიცეზე შემომხმება გაივლის ესპანეთის კონსტიტუცია. თუ მოხდება გამოსავლის პოვნა კატალონიის ხელისუფლებასა და ესპანეთს შორის, ხომ ვარგი, თუ არადა, კატალონიის ხელისუფლება დამარცხდება.

— ესპანეთის ხელისუფლება არ დაუშვებს, ეს რეფერენდუმი კანონიერად ცნოს. ასეთ შემთხვევაში, ძალიან დიდი საფრთხე შეექმნება ესპანურ რეგიონალიზმს. ბასკების სეპარატიზმი ცნობილია და კატალონიას იმ წუთას მიბაძავს ბასკეთი, რომელიც წკიპზეა. რასაკვირველია, ამით ესპანეთი დაშლის საფრთხის წინაშე დგება. გასაგებია, რომ კატალონიაში სამოქალაქო მღელვარება იქნება, მაგრამ ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას სხვა გზა არა აქვს. ესპანეთის კონსტიტუციით, რეგიონალურ სახელმწიფოს საკმაოდ ფართო ავტონომია ენიჭება. ეს ეხება კატალონიასაც, ბასკეთსაც, მაგრამ სეცესიის უფლება მათ არა აქვთ. აქედან გამომდინარე, რეფერენდუმი იმთავითვე არაკონსტიტუციურია. ზუსტად ასევე შეაფასა იგი ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომაც.

— სეცესიის, ანუ გამოყოფის უფლებას კატალონია სამართლებრივი გზით ვერ მოიპოვებს, მაგრამ რჩება სხვა გზა?

— სამართლებრივად ეს ვერ მოხდება, მაგრამ იქ უკვე კონფლიქტია. კატალონიის ხელისუფლება ამბობს, რომ მას აქვს სეცესიის უფლება, ხოლო ესპანეთის კონსტიტუცია და ესპანეთის ხელისუფლება უარყოფს ამ უფლებას. ამ შემთხვევაში, სამართლებრივი თვალსაზრისით, ესპანეთის კონსტიტუცია მოქმედებს. შესაძლოა, რაღაც მოძრაობა დაიწყოს, მაგრამ არაკონსტიტუციური იქნება და მერე უკვე საკმაოდ სერიოზული კონფლიქტი დაიწყება. რით დასრულდება ეს კონფლიქტი, ჯერ არ ჩანს. არა მგონია, შეთანხმებით გადაწყდეს და ესპანეთის ხელისუფლებამ დაუშვას კატალონიის გასვლა ესპანეთის შემადგენლობიდან. თანაც, მართო კატალონია ხომ არ არის? თუ ასეთი პრეცედენტი დაუშვებს, ამას დომინოს პრინციპით მოჰყვება სხვა შემთხვევებიც.

დიდი ბრიტანეთიდან შოტლანდიელებიც ცდილობენ გამოყოფას, ბელგიაშიც იგივე პროცესებია, ასევე ჩრდილოეთ იტალიის პროვინციაში. შესაძლოა, ჩრდილოეთ საფრანგეთში ბრეტანამაც მოითხოვოს დამოუკიდებლობა.

— ცხადია, დიდი არეულობა დაიწყება. რა თქმა უნდა, ერების თვითგამორკვევის უფლება არსებობს, მაგრამ ეს არსებობს მოქმედი კონსტიტუციებისა და ტერიტორიული მთლიანობის ფარ-

გლებში. ფართო ავტონომია მისაღება, როცა ასიმეტრიული, სხვადასხვა უფლებები აქვთ ამ სუბიექტებს. მაგალითად, კატალონიას გაივლით მტეი უფლება აქვს, ვიდრე, ვთქვათ, ანდალუსიას. თავის დროზე, როცა რეგიონულ მოწყობაზე გადავიდა ესპანეთი, ამით სწორედ სეპარატიზმის განეიტრალებას ცდილობდა და ფიქრობდა, რომ ფართო უფლებების მიცემით გამოყოფის პროცესს შეაკავებდა იმ სუბიექტებში, ვისაც მაინცდამაინც ესპანეთში ყოფნის დიდი სურვილი არ ჰქონდა. გარკვეული პერიოდი, ესპანეთმა შეაკავა კიდევ ეს პროცესი, მაგრამ მერე უკვე ეს ბუმერანგით უკან შემოტრიალდა. სხვათა შორის, ეს ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია. ჩვენთანაც არიან ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ ე.წ. რეგიონულ თვითმმართველობას. სინამდვილეში, ეს საფრთხილო რამაა. ისეთმა ძლიერმა, მდიდარმა, ყოველმხრივ დაცულმა ქვეყანამ, როგორც ესპანეთია და, რომელიც ევროპის სამხრეთ-დასავლეთ ფლანგზე მდებარეობს, ვერ მოახერხა ამ პროცესის შეკავება. არადა, ესპანეთს არაფერი ეშუქრება, მას მტრული გარემოცვა არ ჰყავს. ამ დროს წარმოიდგინეთ საქართველოს სიტუა-

№ 8 83

## ჟაქა პაბაგოს, დირექტორს და უფროსკლასულს აქვს საშუალება, მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში

ბანათლებლის მინისტრი ნინასარჩევნოდ სასკოლო რესურსის კამპანიაში ჩართვას ეხმაურება და აცხადებს, რომ ყველა პედაგოგს, დირექტორსა და უფროსკლასულს აქვს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ თუ საარჩევნო კამპანიაში სასკოლო რესურსის ჩართვა დასტურდება, ეს მოკვლევის საგანი უნდა გახდეს.




— იყო ასეთი შემთხვევები და ამან ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმა გამოიწვია, ზოგ შემთხვევაში საყვედური, ან გაფრთხილება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყველა პედაგოგს, დირექტორსა და უფროსკლასულს აქვთ საშუალება, გამობატონ თავისი მოსაზრება და მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ. მინისტრი გამოცხადებულა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქმის ბაღების დირექტორებს დავალებული აქვთ, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერება 100-კაციანი სიები წარადგინონ. „ეს პრაქტიკა ალკეითლია და გამორიცხულია. განათლების სისტემა სრულიად დემოკრატიულია, ბაღებიც და სკოლებიც“, — აღნიშნა მინისტრმა.

ოკუპანტთან. თავისთავად, „პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტები მოსკოვში კანონის ძალით ასაკრძალია, არ შეიძლება ოკუპანტ ქვეყანასთან გვერდის ავლით ვინმეს ჰქონდეს შეხვედრები ოკუპანტთან. ეს არის ლალატი და ქვეყნის ინტერესების დაზიანება.

## ბათუმის ბოტანიკური ბაღი პარაზიტულ მსენარეებს ვერ მოერიდა და შველა თურქეთის სოსოვა...

თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (TIKA) ბათუმის ბოტანიკურ ბაღს პრეპარატებით დაეხმარა. როგორც თურქული მედია იტყობინება, TIKA-ს დახმარება, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიმართ, „ტყის დაზიანებისგან დაცვის“ პროექტის ფარგლებში განახორციელა.

TIKA-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექციამ მათგან პარაზიტული მცენარეების წინააღმდეგ საბოლოო ვეგელა და დახმარება ითხოვა. ამ თვალსაზრისით 105 წლის ბათუმის ბოტანიკურ ბაღს შესაბამისი პრეპარატები გადაეცა. პროექტის ფარგლებში ბოტანიკური ბაღის დასაცავად, ართვინის სატყეო დეპარტამენტის სპეციალისტებიც ჩართვებან. ბათუმის ბოტანიკურ ბაღს TIKA-მ მსგავსი დახმარება 2016 წელსაც გაენია.



ნაგრძობს, ადგილზე იმყოფებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი წარმომადგენლები. ომალოში მყოფი ტურისტები უსაფრთხოდ იმყოფებიან და ყოველგვარი შეფერხების გარეშე გადაადგილდებიან.

ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ერთი მამაკაცი, რომლის სიცოცხლეს, ადგილობრივი ექიმის ინფორმაციით, საფრთხე არ ემუქრება, მაშველების დახმარებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას კლინიკაში გადააყვას. თუშეთში საგანგებო რეჟიმში მუშაობს ყველა შესაბამისი სამსახური, რათა ნებისმიერი სახის შესაძლო შეფერხება თავიდან იყოს აცილებული. აგრეთვე გაცნობებთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, ასევე — უცხოელი ვიზიტორების მზადრი რიცხვის ფონზე, თუშეთში კომფორტული და უსაფრთხო მოგზაურობის მიზნით, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, გასული წლის სეზონის მსგავსად, წლევანდელი ზამთრის მანძილზე, ყოველკვირეულად, რეგულარულად იფრენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი.

## ნიკა რურუა რუსეთთან პარტიზმის პირდაპირი დიალოგის აპრკაღვას ითხოვს

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის ნურკი ქანთარიას გუშინდელ განცხადებას, რომ შესაძლოა, დადგეს დრო, როცა აბაშიძე-კარასინის ფორმატს დამატება სხვა „რაღაც“ ფორმატი, ნაციონალურ მოძრაობაში პასუხობენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა არ გამოირიცხავს, რომ ეს განცხადება შესაძლოა, იყოს ნიადაგის მომზადება, რათა ახალი ფორმატი მართლაც გაჩნდეს.

რურუა, „პირველ რადიოსთან“ საუბრისას ხელისუფლებას ურჩევს, საერთოდ კანონით აკრძალოს ნებისმიერი პოლიტიკური ძალის პირდაპირი გზით დიალოგი

## თუშეთში პარტაზანული მიმდინარე წლის ზამთრის სეზონზე რეპულარულად იფრენს

სამართავლო მთავრობის ადმინისტრაცია უამინდობის გამო თუშეთში შექმნილ ვითარებას ეხმაურება. რეგიონში მობილიზებულია ყველა შესაბამისი უწყება და სამსახური. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გზის განმენდით სამუშაოებს ინტენსიურ რეჟიმში გა-

# არადა, დროა, თუ უკვე დაგვიანებული არ არის...

მართალია, მარტივ მამრავლებად – „ვეროპელებად“ და „აზიელებად“, „გირჩე-ბად“ და „ქინძებად“ დაშლილ-დაფანტული მიზარასტები, პატრიოტიზმით თავგადასმე-ვდარი რესპუბლიკელები, გაერთიანებული თუ გაუერთიანებელი დემოკრატები ფუყე „ერთობის“ ძალით უტყვენ პარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებულ კონსტიტუ-ციას, მაგრამ მთლად არც ისეა საქმე, რო-გორც ისინი ხატავენ. საზოგადოება, მაგა-ლითად, მონონებით შეხვდა კონსტიტუცი-აში შეტანილი ქორწინების, როგორც ქა-ლისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ერ-თობის განსაზღვრებას, რასაც ნაცვები და ძმანი მათნი დანასისხლად ეწინააღმდეგე-ბოდნენ – რა საჭიროა ამის კონსტიტუცი-აში ჩანერა (ვითომ არ იცოდნენ, რატომ იყო საჭირო!), როცა ეს ყველაფერი ისედაც ცხადივ ნათელიაო.

ეს კი, მაგრამ, კარგად მახსოვს, იგივე ნაცვებსა და რესპუბლიკელებს, კრინტი არ დაუძრავთ, სიტყვაც არ დასცდენი-ათ ანტიდისკრიმინაციული კანონის სა-წინააღმდეგოდ, როცა მას პარლამენტში დიდი გულმოდგინებით განიხილავდნენ და ერთსულოვნებით იღებდნენ. არადა, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ერთი შეხედვით უწყინარი ზნეობრივი ნორმატივის დაკანონება შექმნა წინა-პირობა დასავლელი ლიბერალისტებისგან შემოგდებული სხვადასხვა ფორმის უზ-ნეობა-გარყვნილობის დაკანონება-დამ-კვიდრებისთვის.

ამის დასტურად გამოდგება თუნდაც რესპუბლიკელთა მიერ ახლახან თათა-რიახნად მომზადებული კანონპროექტი, რომელიც მალე შევა პარლამენტში გან-სახილველად და რომელიც ლგბტ პირე-ბისთვის სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას ითვალისწინებს.

კი მაგრამ, საიდან გაუჩნდათ ამ ჩვენს კეთილზნეობაზე ზრუნვით გაჭაღარა-ვებულ რესპუბლიკელებს ასეთი კანო-ნის შეთხზვის იდეა, არ იკითხავთ? სა-იდან და თურმე ჩვენი ახალი კონსტიტუ-ციის მოსამზადებელ სამუშაოებში ვე-ნეციის კომისიიდან „სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ“ მოწვეულ ჯანი ბუციკოს მითითებიდან, რომელმაც სა-ქართველოში ვიზიტის დასრულებისას რეკომენდაციად დაგვიტოვა: „საქართველოს შემთხვევაში რთული იქნება კონ-სტიტუციით ერთნაირსქესიანთა ქორწინების შემოღება, თუმცა სამოქალაქო პარ-ტნიორობა უნდა მიიღოს“

ხედავთ, ბატონებო, ჯანი ბუციკომ, ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად უცხო პიროვნებამ ანგარიში გაუწია ქარ-თველი ერის მენტალობას, მის ისტორი-ას, ტრადიციებს, მართლმადიდებლურ რწმენა-სულიერებას, მიხვდა, რომ კონ-სტიტუციით ერთნაირსქესიანთა ქორწინების შემოღება გაგვიჭირდებოდა და ნაცვლად ამისა, მექორწინეთა სამოქალა-ქო პარტნიორობა შემოგვთავაზა!

დიდი მადლობა, ბატონო ბუციკო, საქართველოსთვის ამ საჭირობოტო პრობლემის ასე „გონივრულად და ოპერ-რატულივად“ გადაწყვეტისთვის!..

ვერაფერს იტყვი, „იყოჩაღეს“ ჩვენ-მა ზნეობაკრიალა რესპუბლიკელებმაც, რომლებიც ბუციკოს გასტუმრებისთა-ნავე უმაღ დაბზრიალდნენ, კანონპრო-ექტი გააშენებულეს, მის მიმართ ვინ-მეს რაიმე საწინააღმდეგო რომ არ ჰქო-ნოდა, სიტყვა „ქორწინება“ საერთოდ ამოიღეს და ის წყვილთა „სამოქალაქო პარტნიორობით“ შეცვალეს.

ამის შემდეგ აბა ვინმე გაბედოს და შეედავოს, გნებავთ, ბუციკოს და გნე-ბავთ, რესპუბლიკელებს. გეტყვიან, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება „გვი-ქორწინება“ და არც „ლესბო-ქორ-წინება“, ეს იქნება უბრალოდ მათი „სა-მოქალაქო პარტნიორობა“, რომელიც პარტნიორებს ქორწინების არა, მაგრამ ხელ შეკრულების დადების უფლებას მისცემს.

ეს სიტყვით, მაგრამ საქმით ხსენებუ-ლი ხელ შეკრულება იმ საჩოთირო ქორ-წინებისგან თითქმის არაფრით განსხვავ-დება. ის პარტნიორებს უფლებას მის-ცემს, მიიღონ ერთმანეთის გვარი (რო-გორც ეს მეუღლეობის შემთხვევაში ხდება), აიყვანონ შვილი, პასუხი აგონ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე. ყველაფერი ეს კი სხვა არაფერია, თუ არა უკანა კარით შემოპარებული „გვი-ქორწინება“.

ჰოდა, პატივცემულო მკითხველო,



ქვეყანა გუკიკოს კარნახით ვერ ივლის...

განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ იგალიის ტელევიზია მსგავს სიუჟეტებს უშვებდეს რომის პა-პის ან კათოლიკურ ეკლესიაზე?! თუ იგალიაში არ შეიძლება, მაშ რატომ არის ასეთი რამ დასაშვები საქართველოში, რატომ არ აღკვეთს დამოუკიდებელი სახელმწიფო ტელეეთერში ანტისახელმწიფოებრივ მო-წოდებებს ხელისუფლების მორიგი დამსობისკენ, რო-მელიც შეურაცხყოფს სახელმწიფოს შემქმნელი ერის უმრავლესობის რელიგიურ გრძნობებს? რატომ არ-სებობს დღემდე ქართული „შარლი ებლო“ – ტელე-კომპანია „რუსთავი-2“, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბი-უჯეტის მრავალმილიონიანი ვალი აქვს?

როცა ჩვენი ინტელექტუალი რესპუბლი-კელები ასეთი კანონპროექტის შემოპა-რებას აპირებენ, როგორ ფიქრობთ, ვის იმედად არიან? ალბათ, პარლამენტის ახალგაზრდა თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის და ვიცე-სპიკერ თამარ ჩუ-გოშვილის იმედად – ისინი ხომ რესპუბ-ლიკელთა სოროსული იდეოლოგიის ერთგული მიმდევრები გახლავან. და კი-დევე, ალბათ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინ-ტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის სოფო კილაძის იმედადაც, რომლისადმი რწმუნებული კომიტეტის გადანყვეტი-ლებითაც 2018 წლის 17 მაისს საქართვე-ლოში ოფიციალურად იგეგმება ჰომოფო-ბიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის სა-ერთაშორისო დღის „ზეიმო“. დადგენილე-ბაში ჩანერილია, რომ ასეთი ღონისძიე-ბების განხორციელება „ხელს შეუწყობს

უფლებადარღვეული პირების მიმართ სო-ლიდარობის გამოხატვას და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას“. კეთილი და პატიოსანი ვთქვათ, მო-მავალი წლის 17 მაისს მართლაც ვიზე-იმეთ მამათმავლობისა და დედათმავ-ლობის სოლიდარობის დღესასწაული, მაგრამ იმავე დღეს კათოლიკოს-პატრი-არქის ილია მეორის მიერ საქართველო-ში ოჯახის სიმტკიცისა და სინმინდის დღესასწაულიც რომ არის დანიშნული? აქედან გამომდინარე, პარლამენტის ხსე-ნებული კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალ-ბატონ კილაძეს გვინდა ვკითხოთ, ამ ორი დღესასწაულიდან ერთ-ერთი უნდა გა-მოვტოვოთ თუ სინმინდისა და უწმინდუ-რობის დღესასწაულები ერთობლივად ვი-ზეიმოთ? და იქვე დავაზუსტოთ, თუ იმ დღეს საზოგადოებაში მოხდა დიდი არე-ულობა და შესლა-შემოსლა, რასაც

ერთხელ უკვე შევესწარი, ამაზე პასუხს ვინ აგებს – საქართველოს დინჯი მთაფ-რობა თუ პარლამენტის თავკერძა ხელ-მძღვანელობა?

რჩება შთაბეჭდილება, „ოცნების“ ხელისუფლების მესვეურნი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დასავლეთში ფესვგადგმული სოლომური ცოდვა, მა-მათმავლობა და სხვა გარყვნილება აქაც ისევე იყოს მხარდაჭერილი და გაფო-ფინებული, როგორც ევროპასა და ამე-რიკაში. თანაც ამას უნდა ერთვოდეს ჩვენი ყალბად მობეჭუტურე ტელე-არხების მიერ იმის სადღეღამისო პრო-პაგანდა, რომ ეს არის წინსვლა, დემოკ-რატული პროგრესი, კიდეც ერთი წინ-გადადგმული ნაბიჯი ევროპული ღირე-ბულებებისაკენ და გარანტია ჩვენი ტე-რიტორიული მთლიანობის აღდგენა-დაბ-რუნებისა. ვინც ამას არ ირწმუნებს, ის არის ქვეყნისა და ოჯახის მტერი, პუტი-ნის მიერ მოსყიდული რუსეთში.

„საქინფორმის“ მთავარი რედაქტო-რის არნო ხიდირბეგიშვილის თქმით, გარდა აშშ-ის ცენტრალური სადაზერ-ვო სამმართველოს მიერ შემუშავებული ოპერაციისა – „ციანიდი პატრიარქის-თვის“ – ყველა წამყვანი ქართული სა-ტელევიზიო არხი საათში ერთხელ ატ-რიალებს კლიპს, რომელშიც ორი რეს-პუბლიკელი ალქაჯი ცდილობს, შთაგ-ვაგონოს, რომ პატრიარქი კრემლის აგენტია, ეპისკოპოსები – ქურდები, გარყვნილები და მკვლელები, საქარ-თველოს მართლმადიდებელი ეკლესია – კორუფციაში ჩართული კომერციული სტრუქტურა, რომელიც სახელმწიფოს კისერზე აზის.

განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ იტალიის ტელევიზია მსგავს სიუ-ჟეტებს უშვებდეს რომის პაპის ან კათო-ლიკურ ეკლესიაზე?! თუ იტალიაში არ შეიძლება, მაშ რატომ არის ასეთი რამ და-საშვები საქართველოში, რატომ არ აღ-კვეთს დამოუკიდებელი სახელმწიფო ტე-ლეთერში ანტისახელმწიფოებრივ მო-წოდებებს ხელისუფლების მორიგი დამსობისკენ, რომელიც შეურაცხყოფს სახელმწიფოს შემქმნელი ერის უმრავლეს-ობის რელიგიურ გრძნობებს? რატომ არსებობს დღემდე ქართული „შარლი ებ-ლო“ – ტელეკომპანია „რუსთავი-2“, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბი-უჯეტის მრავალმილიონიანი ვალი აქვს?

ეჰ, ჩემო ბატონო კოლეგავ, კითხვე-ბი, რომელიც თქვენ დასვით, მარტო თქვენ კი არა, ჩვენ ყველას, მთელ საზო-გადოებას გვანუხებს, მაგრამ თუკი ის, ვინც მას პასუხი უნდა გასცეს (ხელი-სუფლება) დამუნჯებულია? არადა, დროა (თუ უკვე დაგვიანებული არ არის), მოვცნებ მთავრობა კარს მომ-დგარი არჩევნების წინ მაინც გამოფხიზ-ლდეს, ყურენი გამოიფხიკოს, მიმდინა-რე პროცესების არსში ღრმად ჩაიხედოს და დასკვნებიც ამის მიხედვით გამოი-ტანოს, თორემ მარტო იმის იმედად ყოფ-ნამ, რომ ქვეყნის დამაქცევარ ნაცბანდე-ლებზე განაწყენებული ხალხი ხმას მა-ინც „ოცნებას“ მის-ცემს, არა მგონია, ყოველთვის გაამარ-თლოს.

ქოცებს ზედმეტი არ მოუვათ, იცოდ-ნენ, რომ კოკა წყალს ყოველთვის ვერ მო-იტანს!..

ოთარ სუციშვილი



## 2006 წლის 1 აპრილამდე აღებული მართვის მოწოდება იურიდიულ ძალას კარგავს

შინაბან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინ-ფორმაციით, მძღოლებს, რომლებსაც მართვის მოწოდება 2006 წლის 1 აპრილამდე აქვთ აღებული, მისი გამოყენება დაახლოებით, 3 თვის განმავ-ლობაში შეუძლიათ, რადგან 2018 წლის 1 იანვარს დოკუმენტი იურიდიულ ძალას დაკარგავს.

სააგენტოს ინფორმაციით, თუ მართ-ვის მოწოდება 2006 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 მარტამდე აიღეს, მას მოქმედების იურიდიული ძალა 2018 წლის 1 სექტემბე-რამდე შეუნარჩუნდება, შემდეგ კი განახ-ლება მოუწევთ.

2014 წლიდან დაბეჭდილ მართვის მოწ-

ობებში კი, მოქმედების კონკრეტული ვადა იწერება, რომლის ამონურვის შემდეგ, დოკუმენტი უნდა განახლდეს. მართვის მოწ-


საქართველო Georgia Categories of vehicles for which the permit is valid

A	Motorcycles	
B	Motor vehicles, other than those in category A, having a permissible maximum weight not exceeding 3,500 kg & not more than eight seats in addition to the driver's seat.	
C	Motor vehicles used for the carriage of goods & whose permissible maximum weight exceeds 3,500 kg.	
D	Motor vehicles used for the carriage of passengers & having more than eight seats in addition to the driver's seat.	
E	Combination of vehicles of which the drawing vehicle is a Category for which the driver is licensed (B &/or C &/or D), but which are not themselves in that category or categories.	

მობის განახლებისთვის გამოცდის ხელახლა ჩა-ბარება არ გესაჭიროებთ, ამისთვის მხოლოდ 15 ლარის გადახდა და ჯანმრთელობის დამადას-ტურებელი დოკუმენტი უნდა წარადგინოთ. გარდა ამისა, 15 ლარს როგორც ავტომატური, ისე მექანიკური ძრავის მქონე ავტომობილის მართვის უფლების განახლებისთვის იხდით, – აცხადებენ სააგენტოში. მართვის მოწოდების შეცვლა სავალდებულო არ არის მისი მოქმედე-ბის ვადის გასვლამდე, ხოლო ახალი მოწოდების აღების ან შეცვლის შემთხვევაში დღეს არსებუ-ლი ღირებულება დარჩება უცვლელი.

### ქართული ღვინო მსოფლიოს იპყრობს!

2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 52,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 63%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 116 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.



ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 44% (5537261), რუსეთი - 95% (33243157), უკრაინა - 54% (5322683), პოლონეთი - 14% (1869852), ლატვია - 36% (1141778), ბელარუსი - 34% (1054994), აშშ - 81% (346398), გერმანია - 28% (286156), ისრაელი - 305% (170834), მონღოლეთი - 182% (112710), საფრანგეთი - 321% (96790), აზერბაიჯანი 102% (102 342) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (33243157), ჩინეთი (5537261), უკრაინა (5322683), ყაზახეთი (2044143) და პოლონეთი (1869852).

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 194 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდა 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 54% შეადგინა.

### რატომ არ მღერის სოფო ნიჟარაძე თბილისობაზე?

მომღერალი სოფო ნიჟარაძე მერიის კულტურის სამსახურის უფროსისგან და მისი მოადგილისგან პასუხს ითხოვს, რატომ ვერ მოხვდა თბილისობაზე მონაწილე მომღერალთა შორის.



მომღერალი ვარაუდობს, რომ მოტივი პოლიტიკურია და გრძელდება ტენდენცია, რომელზეც წინა წლებში ბევრი პრეტენზიას გამოთქვამდა, ახლა კი აღარავინ საუბრობს. რაც შეეხება ღონისძიებას, ნიჟარაძის თქმით მასში მისი მემკვიდრეები მონაწილეობენ და კარგად იცის, რომ მთავარი თემა მიუზიკლებია: წლებანდელი თბილისობის კონცერტზე მონაწილე ყველა ხელოვანი, ჩემი მეგობარია. მე არ მინდა, ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩავეყენო და ზოგადად, ჩემი გამომხატურება

თბილისობის ღონისძიებაზე არ უკავშირდება შემსრულებლებს, ან შემოქმედებით დეტალებს. მე მაქვს ძალიან კონკრეტული შეკითხვა მერიის კულტურის სამსახურთან და სამსახურის უფროსის მოადგილე რუსა მორჩილაძესთან, რატომ არ ვარ მინცეული თბილისობის კონცერტზე, მით უმეტეს, როცა, იმ მიუზიკლების თემებით არის შედგენილი რეპერტუარი, რომელშიც მე მთავარი როლებით ვმონაწილეობდი და ჩემი შესრულების გამო, სწორედ მათგან არა ერთი აღფრთოვანებული კომპლიმენტი მიმიღია.

ყველაფრის გათვალისწინებით, მე მიჩნდება ეჭვი, რომ ამ გადამწყვეტილების მოტივი არის პოლიტიკური - პოლიტიკური ნიშნით იბლოკებიან მომღერლები. კულტურის სამსახურს აქვს მიღებული დავალება, რომ სოფო ნიჟარაძემ არ მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაზე. თუ ეს ასე არ არის, მათ შეუძლიათ განმარტონ მიზეზები, რას ემსახურება ეს გადამწყვეტილება...

### რუსი ტურისტები მსოფლიოს ბაზრებზე საზარეულოებს შორის ქართულს მეორე ადგილს ანიჭებენ

რუსი ტურისტების აზრით, ქართული სამზარეულო მსოფლიოს ყველაზე გემრიელ სამზარეულოებს შორის მეორე ადგილზეა, - წერს ტურისტული სერვისის Skyscanner-ი.



როგორც კვლევა აჩვენებს, რუსი მოგზაურები მსოფლიოში ყველაზე გემრიელ სამზარეულოდ იტალიურს მიიჩნევენ. მათ მიერ გამოკითხული ტურისტების 38% უპირატესობას იტალიურ სამზარეულოს ანიჭებს. მეორე ადგილზეა ქართული სამზარეულო, რომელსაც საუკეთესოდ რუსი ტურისტების 16% მიიჩნევს. მესამე პოზიციაზეა ტაილანდური სამზარეულო და მას გამოკითხული რუსი ტურისტების 12% ირჩევს.

როგორც კვლევა აჩვენებს, მსოფლიო მასშტაბით ყველაზე გემრიელ სამზარეულოებს შორის მეოთხე პოზიციას ბერძნული (10%), ხოლო მესამე ადგილზე ჩინური სამზარეულო იკავებს (5%). TOP-10-ში მოხვდა ასევე: იაპონური, ფრანგული, ესპანური, მექსიკური და არაბეთის გაერთიანებული საემიროების სამზარეულო.

შეგახსენებთ იმასაც, რომ აპრილის კვლევებით, გასტრონომიული ტურიზმის თვალსაზრისით რუსი ტურისტებისათვის საქართველო ყველაზე პოპულარული მიმართულება იყო.

## დეპუტ მიქაძეს ულოცავენ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაილია გალდავაძე, ბონდო ქობულა, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭვიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ საიუბილეო თარიღს - 8 ოქტომბერს, დაბადებიდან 75 წლისთავს ამავე საზოგადოების პირველ ვიცე-პრეზიდენტს, გამორჩენილ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს, ჩვენი

ქვეყნის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და განმტკიცების დიდ მოამაგეს, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს და თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ყოფილ თავკაცს, სახალხო გენერალს, მეგობრებისა და ახლობლების მუდმივ ქომაგს. სიკეთის კეთებისა და სიკეთის დანახვის უბადლო ოსტატს, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ დემურ მიქაძეს.



მტკიცე ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე, თქვენი უახლოესი გარემოცვისა და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ბატონო დემურ.

### თქვენ თეატრალის ბრძანებით!

ბატონო დემურ, სამტრედია ამაცობს სახელოვანი შვილებით, ერთ-ერთი საამაყო შვილი დამსახურებულად ხართ თქვენ, ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში უანგაროდ, მაღალ პროფესიულ დონეზე ემსახურეთ ქვეყანასა და ერს უსაფრთხოების დარგში. გარდა ამისა, თქვენ უდიდესი თეატრალი ბრძანდებით. თქვენს სამეგობროში, წრეში ბევრი მსახიობია. ბევრ გა-

ჭირვებულ მსახიობს (იცნობდით თუ არ იცნობდით) დაუდევით გვერდით და დაეხმარეთ. რუსთაველის თეატრი გულითა და სულით გილოცავთ იუბილეს, სიკეთეს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. კვლავაც წარმატებით გაგვერძელებინოთ თქვენი მოღვაწეობა ქვეყნისა და ქართველი ერის სასიკეთოდ.

პატივისცემით **რობერტ სტურშა**

## დეპუტის ერთგულმა საგაბლითო



დეპუტ მიქაძე - ეს სახელი ჩემი ოჯახისთვის ერთ-ერთი უსაყვარლესია. დემურის მერაბმა გაიცნო მარნეულში, ძველს - „კიდევაც დაიზრდებიან“ რომ დგამდა. მაშინ დემურის მარნეულში მუშაობდა. იმ მომენტიდან ეს ადამიანი ჩვენი უახლოესი მეგობარი გახდა. ის დრო სახვითი

ხელოვნებისთვის ძალიან ნაყოფიერი იყო: იდგმებოდა ძველები, მხატვრები ხატავდნენ არაჩვეულებრივ ტილოებს. ამ ნამუშევრებმა გაუთქვა სახელი საქართველოს. აი, სწორედ ამ დროს დემურ მიქაძე გახდა ჩვენი ოჯახის ჭირისა და ღონის თანამოზიარე. დემურის უდიდესი ზრუნვა განსაკუთრებით იგრძნო ჩვენმა ოჯახმა. კარგად მახსოვს ის მძიმე დრო, როცა არ იყო სინათლე, არ იყო წყალი, არ იყო საკვები... ჩვენი ოჯახი შედგებოდა ექვსი ადამიანისგან და აფხაზეთიდან ლტოლვილი

ორი პიროვნებისგან. ამ დროს მერაბი მუშაობდა „დავით აღმაშენებლის“ ძველზე. მთელ ჩვენს ქვეყანაში სუფევდა გაუცხოებასა და მდგომარეობა, დემურს დიდი ღვაწლი აქვს „დავით აღმაშენებლის“ ძველის შექმნაში. მას არ მოუკლია მერაბისთვის და მისი ოჯახისთვის არც შეუბ, არც სინათლე, არც წყალი. ყოველივე ამას საოცრად დაეუფლა და აკეთებდა. დემური ეხმარებოდა ჩვენს გარდა ბევრ გაჭირვებულ ადამიანს. გაჭირვებაში მყოფი ადამიანის დახმარება დემურმა თავის მოვალეობად აქცია. გავიდა წლები, დემურ მიქაძის ოჯახი გახდა ჩვენი უახლოესი მეგობარი. დემურის ერთგულება სამაგალითოა. საქართველოს ღმერთმა უმრავლეს დემურ მიქაძისნაირი ადამიანები!

პირა მიქაძე-პირაქანიშვილი

## სახალხო გენერალი

ღმის, სახალხო გენერალი! ასე მივმართე ბატონ დემურ მიქაძეს ერთ-ერთი შეხვედრისას მეგობართა წრეში და ეს, როგორც ველოდი, შემდგომში სრულიად ბუნებრივად მიიღო და გაიმეორა მრავალმა ადამიანმა. ბატონი დემურ მიქაძე მიეკუთვნება იმათ რიცხვს, რომელთა ადამიანური სიბოძო, ავ-კარგიანობა, კეთილშობილება, სამართლიანობა, გულისხმიერება, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე შეუძლებელია არ გხიბლავდეს და არ იყოს ჯეროვნად დაფასებული. მისი პიროვნება ყოველთვის იქცევდა საზოგადოების ყურადღებას. იგი დამსახურებულად იპყდა და იპყის პატივისცემას. ეს ნამდვილი არაა ადვილი, თუ გავითვალისწინებთ ბატონი დემურის მიერ განვლილი იერარქიული გზის სპეციფიკას. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს დემურ მიქაძის დამოკიდებულება სხვადასხვა თაობის კულტურის მოღვაწეთა მიმართ. მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, თანადგომის იშვიათი თვისება არაერთხელ გამოვლინდა მრავალ მნიშ-

ვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით. საკმარისია, გავიხსენოთ უმძიმეს წლებში, ურთულეს პირობებში როგორ ამოუდგა იგი მხარში დიდ მამულიშვილსა და ხელოვანს მერაბ ბერძენიშვილს, როდესაც იქმნებოდა დავით აღმაშენებლის ქანდაკება... ისიც უნდა ვთქვა, რომ საერთო გულისტკივილს ამ დიდებული ქმნილების შემდგომ ბედთან დაკავშირებით (აღარაფერს ვამბობ ქუთაისში აფეთქებულ დიდების მემორიალზე) დემურ მიქაძე მისთვის ჩვეული ემოციურობით გამოხატავდა... კიდევ მრავალი ფაქტის მოხმობა შემიძლია... დემურ მიქაძე სიკეთის მთესველი კაცია და ამ თვისებით მშვენიერი მაგალითის მიმცემია ყველასთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის. იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში, ჯანსუღ ჩარკვიანს თუ დავესესხებით, ცერზეა შემდგარი „როგორც ავაზა“!

ამიტომაცაა ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, გამორჩეული ჩვენი „სახალხო გენერალი“ - დემურ მიქაძე!

პალერი ასათიანი



ერეკლე I

ამ საქმეში უშიშროების ორგანოების ჩარევებზე მეტყველებს სხვა ფაქტიც, რომლის შესახებ ჩვენმა კოლეგამ, ისტორიკოსმა ნოდარ ლომოურმა შეგვატყობინა (მისი მოთხრობის შინაარსს, რომელიც მწერლის მეუღლის ლ. კრესტინსკაიას ზემოთ ციტირებულ მოგონებას ადასტურებს, მოკლედ გადმოვცემთ). გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, როდესაც ნ. ლომოური საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომელი იყო, იგი უნებური მოწმე გახდა ამ ინსტიტუტის დირექტორის, ან განსვენებული აკადემიკოსის ნ. ბერძენიშვილის შემდეგი შინაარსის მოთხრობისა: 50-იან წლებში, როდესაც აკადემიკოსი მოსკოვის „ცგადას“ არქივში მუშაობდა, მას შესაძლებლობა მიეცა, ნატალია ნარიშკინას ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძისადმი გაგზავნილი წერილების ასლი გადაეღო. ყურადღებას ის ფარემოება იქცევს, რომ მათი შინაარსი ორივე შემთხვევაში — ა. ტოლსტოის ქვრივისა და აკადემიკოსის გადმოცემით — იდენტური აღმოჩნდა. რადგან ქართული ინტელიგენტურ წრეებში, განსაკუთრებით მწერალთა შორის, მითქმა-მოთქმა ასეთი წერილების არსებობის შესახებ უკვე გავრცელებული იყო, ნ. ბერძენიშვილმა თბილისში ჩამოსვლისას მოსკოვში სამეცნიერო მივლინების ანგარიშში რესპუბლიკის ერთ-ერთ მაშინდელ ხელმძღვანელს ნარუდგინა, სადაც აღნიშნული წერილების ფიქსირების ფაქტიც მიუთითა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც ნ. ლომოური იხსენებს, ისტორიკოს-ბიზანტიანოლოგ ვ. კოპალიანთან ერთად მას შეუძლოდ მყოფ აკად. ნ. ბერძენიშვილთან ბინაზე მისვლა მოუწია კონსულტაციის მისაღებად კონკრეტულ სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ მაშინ, აკადემიკოსთან პირადი საუბრისას, ნ. ლომოურმა გაიხსენა ბატონი ნიკოს მიერ „ცგადას“ არქივში მიკვლეული ნატალია ნარიშკინას წერილები და თავს უფლება მისცა, მისთვის ეკითხა, თუ რა ბედი ეწია მათ ასლებს. ბატონმა ნიკომ პირდაპირ უპასუხა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას შინ მიაკითხა ადგილობრივი უშიშროების კომიტეტის თანამშრომელმა, რომელმაც ეს ასლები ჩამოართვა ისე, რომ დამატებითი ასლის გადაღების ნებართვა არ მისცა. ადგილობრივი სუკის თანამშრომლის ასეთი უცერემონიო მოქმედების შედეგად აკადემიკოსი ბერძენიშვილი მომდევნო წელს მოსკოვში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას (50-იანი წლების დამდეგს) ისევ შეეცადა „ცგადას“ არქივში ადრე მიკვლეული წერილებიდან ასლის გადაღებას, მაგრამ უშედეგოდ: ისინი ადგილზე აღარ აღმოჩნდნენ.

ამრიგად, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ თუ მითითებული უნიკალური საბუთები ა. ტოლსტოისა და ვ. შუმელოვის დროს ამ უკანასკნელის გამგებლობაში არსებულ „სარარიტეტო“ ფონდს ეკუთვნოდნენ, მათი გარდაცვალების შემდეგ ისინი, როგორც ჩანს, მკვლევართათვის მიუწვდომელ „საიდუმლო ფონდს“ გადაულოცეს, სადაც უკეთეს შემთხვევაში დღესაც არიან

დაცული. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ დროიდან მოყოლებული პეტრესდროინდელი რუსეთის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ამ საბუთებზე მინიშნება არავის გაუკეთებია. მაგრამ მათ შესახებ ადრე დარჩეულმა ხმებმა ხელი შეუწყვეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ბატონიშვილის ნიკოლოზ დავითის ძის (იგივე ერეკლე I) — სადმი ადრინდელთან შედარებით მძაფრი ინტერესის გაღვივებას. ამ უკანასკნელის პორტრეტული ჩანახატი ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული, ჩვენი აზრით, განსახილველ საკითხთან მიმართებაში მეტად დამახასიათებელ კონტექსტში: „ესე ერეკლე ყვენი საგანდო დედა თბილისის მეფედ ქსა ჩქეჭ (1688 წ. — ჯ.გ.)... არამედ იყო ქართლისა და საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი, ლირნთა და უშუერთა მოუბარი, სმისა და შუება-ლხინთა მოყვარე, მხნე და ჰაეროვანი, ტანოვანი, მოწყალე და მცირედთა ყურის მიმპყრობი და დიდ-

მოსკოველი ისე ლაპარაკობდა, მაგრამ სანერ ენად ქართული რჩებოდა... ბატონიშვილი (მოსკოვში) დავაჟუცდა. იგი ადვილად აალებადი იყო, მაგრამ საჭირო შემთხვევაში თავშეკავება იცოდა. სიმაღლით საშუალოზე მაღალი იყო, წელში ვიწრო და მხრებში ფართო. იგი მუდმივ სამხედრო წვრთნითა და ცხენოსნობით იყო დაკავებული. მთელი მისი აზრები იქითვე იყო მიმართული, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო და სამეფო ტახტი დაეკავებინა... 1671 წ. ალექსი მიხეილის ძემ მეორედ იქორწინა. მისი საცოლე ნატალია კირილეს ასული (ნარიშკინა) 20 წლის იყო. ხელმწიფის ქორწილში „ტისიაცკის“ თანამდებობა ქართველ ბატონიშვილს ნიკოლოზ დავითის ძეს დაევალა. რუსული წესისამებრ ეს უმაღლესი საქორწინო წოდება იყო. ტისიაცკი, როგორც წესი, სასიძოს ჯვრისწერის მამობილი იყო. იგი განაგებდა ქორწილის მთელ მსვლელობასა და საქორწინო წესჩვეულებებს. ტისიაცკის ვეალებოდა სასიძოს

ბელთან ერთად უსპენსკის ტაძარში მივიდა გალობის მოსასმენად... ხელმწიფეს ულოცავდნენ ასევე ბატონიშვილები, ბოიარები, კარისკაცები, „დუმის წევრები და სხვა წოდების ადამიანები“, მისასალმებელი სიტყვა ქართველმა ბატონიშვილმა წარმოთქვა... 29 ივნისს პეტრე ალექსის ძე ჩუდოვოს მონასტერში მონათლეს. საზეიმო მაგიდა (კრემლის) ნახნავოვან პალატაში გაიშალა, სადაც დამსრთე ტკიპილულით უმასპინძლდებოდნენ — „შაქრითა და ბოსტნეულით...“ ქართველ ბატონიშვილს შაქრიანი საკვების 40 ლანგარი შესთავაზეს. ასეთივე რაოდენობა ლანგარებისა დედოფალმა ელენე ლევანის ასულმაც მიიღო, რომელსაც ამ დროს (რუსეთის) დედოფალთან უმასპინძლდებოდნენ. კიდევ ორი წელი დაჰყო ქართველმა ბატონიშვილმა ნიკოლოზ დავითის ძემ მოსკოვში, შემდეგ კი ხელმწიფეს შვებულებაში „ანუ სამშობლოში გამგზავრების ნებართვის თხოვნით მიმართა“. ირანის შაჰმა, შეიტყო-რა იმის შესახებ, რომ

ჯუანშერ ვათიაჟი

პეტრე დიდი

ბაბრატონისა უთაყოფაჲალი?

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთეუროპელები?

თა დამამდაბლებელი, არამედ არა ძალედვა თვინიერ ყვენი, მრისხანე ჟამად და ფისისლო“. ასეთად წარმოგვიდგინა ვახუშტიმ ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე — ერეკლე I, რომლის ხასიათის ნიშან-თვისებები, უნდა ვაღიაროთ, ძალიან ჩამოგვავს პეტრე I-ისას.

ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძე — ერეკლე I-ზე ვრცელი და დასაბუთებული აზრი გამოთქვა რუსეთ-საქართველოს ისტორიის მკვლევარმა ვ. ტატიშვილმა, რომელიც შეეცადა არა მარტო მისი პიროვნება და ახლო გარემოცვა, არამედ მოსკოვის სამეფო კარზე მისი მდგომარეობაც წარმოეჩინა ალექსი მიხეილის ძის მეფობის ბოლო წლებში. წარმოდგენილი სურათის სრულად აღქმის მიზნით მისი ნაშრომიდან შედარებით ვრცელ ამონაწერს დავიმომენტებთ მცირე კუპიურებით. ისტორიკოსი თავის მოთხრობას ჭაბუკი ნიკოლოზ დავითის ძის მოსკოვში ჩასვლიდან იწყებს, რომელსაც თან ახლდნენ დედამისი, დედოფალი ელენე ლევანის ასული და კარისკაცთაგან შემდგარი მნიშვნელოვანი ამალი. მისი იქ დაფუძნების პირველივე წლებიდან „ქართველი ბატონიშვილი მიღებულ იქნა სამეფო ოჯახის წრეში. ის არ ითვლება ხელმწიფის დის, მეფის ასულის ტატიანას საქმროდ, როგორც ამას მეფე თეიმურაზი ცდილობდა, მაგრამ რუსი მეფის ოჯახისადმი მისმა ურთიერთობამ მალე ნათესაობრივი სიახლოვის ელფერი მიიღო. ხელმწიფე ყველგან ქართველი უფლისწულის თანხლებით ჩნდებოდა. მეფისა და მისი ახლობლებისათვის სათანადო პატივის მიგების რთული წესების გათვალისწინებით ქართველ ბატონიშვილს მეფის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. „სამეფო კარეტას — აღნიშნავს რეიტენფელსი, — მხოლოდ ქართველი ბატონიშვილის კარეტას შეუძლია მისდევდეს, რადგან სხვებმა სათვის უხამსად და მიუღებლად ითვლება მეფეს კარეტით თან რომ ახლდეს და ისევე მოგზაურობდეს, როგორც ხელმწიფე...“. დიდი დღესასწაულების დღეებში ბატონიშვილი ნიკოლოზი მეფეს თან ახლავს მონასტრებში მგზავრობისას, აქ იგი მოსკოვის უმაღლეს სამღვდლოებას სვდება და თანდათან ითვისებს რუსულ ენას. მოსკოვი ხანგრძლივი, მრავალწლიანი ცხოვრების განმავლობაში მან ისე საფუძვლიანად ისწავლა რუსული, რომ ამ ენაზე როგორც ბუნებრივი



ალექსი I-ისა და ნატალია ნარიშკინას ქორწილი

დალოცვა და წაყვანა, წყვილს შორის ბეჭდების გაცვლა, საქორწინო დანახარჯის გადახდა და ჯვარდანერილთა შინ მიყვანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგი (ამ მოვალეობათა შემსრულებელი) ხელმწიფის ყველაზე ახლობელთა და სანდო პირთა წრეს განეკუთვნებოდა. ამასთან დაკავშირებული იყო ისიც, რომ (ქართველი) ბატონიშვილის დედას ელენე ლევანის ასულს ქორწილში იგივე სუფრაჯები ემსახურებოდნენ, რაც თვით დედოფალს.

ახალგაზრდა დიასახლისი (კრემლის) სასახლეში შესვლისთანავე სამეფო კარის ქალთა ნაწილში ახალი წესრიგის დამყარებას შეუდგა. კარეტაში ჩაჯდომისას ახალგაზრდა დედოფალი ფანჯრების ფარდებს აკეცივინებდა, ხალხი უკეთესად რომ დაენახა. ქალაქგარეთ იგი მაღალი და გახსნილი ეკიპაჟით მიემგზავრებოდა უკეთესად რომ დამტკბარიყო ბუნებით. სანახაობებსა და თეატრს, რომელიც ევროპული დედაქალაქების მსგავსად მოსკოვშიც იკიდებდა ფეხს, ახალგაზრდა დედოფალი ასევე ღიად ესწრება, ფარდებს მიღმა დამალვის მცდელობის გარეშე.

წლინახევრის შემდეგ 1672 წ. მაისში დედოფალს შვილი პეტრე შეეძინა, რუსეთის მომავალი იმპერატორი. იმ დღეს... ალექსი მიხეილის ძე ყველა თავის ახლო-

ვასტანგი („შაჰნავაზი“) როგორც დამოუკიდებელი მმართველი მოქმედებდა და მისი ნებართვის გარეშე ქართული ფულის მოჭრა და დაიწყო, საქართველოზე გალაშქრებას აპირებდა. ბატონიშვილმა (ნიკოლოზმა) გადანყვიტა, ირანში შაჰთან გამგზავრებულიყო, რათა საქართველოსათვის ახალი უზედურება თავიდან აეცილებინა. შაჰთან მოსალაპარაკებლად უფრო ხელსაყრელი დროის შერჩევა ძნელად იყო წარმოსადგენი. ვახტანგზე გაგულისებულ შაჰს ხელთ არ ჰყავდა ქართული სამეფო ტახტის მემკვიდრენი, ამიტომ ბატონიშვილთან მოლაპარაკებისას მას შეეძლო, ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. მას შეეძლო ძნელად, მაგრამ მაინც დათანხმებულიყო იმაზე, რომ ბატონიშვილს ტახტი რჯულის შეცვლის გარეშე დაეკავებინა. ირაქლის (ნიკოლოზს) ამის იმედი ჰქონდა.

ჩვენ არ გავგანჩნია დანვრილებითი მონაცემები ბატონიშვილსა და ალექსი მიხეილის ძეს შორის შემდგარი გამოსათხოვარი მოლაპარაკების შესახებ. ალექსი მიხეილის ძემ 1674 წ. ქართველი ბატონიშვილი გაამგზავრა, თუმცა ეს გამოთხოვება ადრინდელი თბილი, თითქმის ნათესაობრივი ურთიერთობის შეწყვეტა-დასრულებას უფრო ნააგავდა. 11 თებერვალს ბატონიშვილი ძალზე მშრალად იქნა მიღებული „წინა ქოხში“. ბა-



# ბუში სააკაშვილს კონფიდენციალურად აფრთხილებდა, მაგრამ...



„ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც საქართველოს გააჩნდა საკუთარ არსებობაში, იყო სავარაუდო ფასეულობებისა და შესაძლებლობების წარდგენის თავისებური მეთოდი აშშ-ის წინაშე: პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა ამერიკელი პრეზიდენტის სიმბაზიით იმით დაიმსახურა, რომ კონგრესისადმი მისი ბოლო მიმართვის ციტირება ზეპირად მოახდინა.

„მე ამ ლიდერით განცვიფრებული ვარ, — განუცხადა ჯორჯ ბუშიმა ჟურნალისტებს, — მე მოხიბლული ვარ მისი იდეებითა და გამბედაობით“. როცა საქართველოს ხელისუფლებას ფული გამოეღია, აშშ-ის მთავრობა თბილისს დაეხმარა და ქართველებისთვის ხელფასისა და პენსიების გადახდა დაიწყო — ამის შესახებ ამერიკული გამოცემა „The New Republic“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია საუბარი.

„ნიუსპრესი“ გთავაზობს ამ მასალის ერთ ნაწილს:

რეჟიმმატორის იმიჯის მიუხედავად, ახლმა პრეზიდენტმა ფაქტობრივად ედუარდ შევარდნაძის კურსი გააგრძელა: მიხეილ სააკაშვილი მოხერხებულად აღწევდა ამერიკელთა კეთილგანწყობას — „დემოკრატიულ ფასეულობებზე“ მსურველ რიტორიკის წყალობით, თუმცა ქვეყნის შიგნით იგი ისეთ პოლიტიკას ატარებდა, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად შეესაბამებოდა დემოკრატიის პრინციპებს. მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიოს მოსდო თავისი ნაქები ანტიკორუფციული პროგრამის წარმატება, თუმცა, იმავდროულად, სარგებლობდა რა თავისი უფლებამოსილებით, ხელს უწყობდა (თვალსაზრისით) ადამიანის უფლებების უამრავ დარღვევაზე. კერძოდ, მისი მმართველობის დროს ხორციელდებოდა სამარცხვინოდ ცნობილი გამაჰანია, რომლის თანახმად, პოლიციას შეეძლო ყოველი მოქალაქე ქუჩაში გაეჩერებინა, აეძულებინა ნარკოტიკებზე ტესტი გაეღებო და თუ ნარკოზომი მარედა დადასტურდებოდა, იგი იმავნაშთის საპრობილემო აღმოჩნდებოდა, თანაც ფანტასტიკური ჯარიმის გადახდით. იმავდროულად მიხეილ სააკაშვილი აგრძელებდა აშშ-სადმი თავისი ლოიალური დამოკიდებულების პოლიტიკას: მან ჯორჯ ბუში შესთავაზა, რომ ერაყისა და ავღანეთის კამპანიებში დაეხმარებოდა და ნატოს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მიზნით, იქ ქართული სამხედრო კონტინგენტი გაგზავნა. თუმცა ჯორჯ ბუში, რომელიც, მართალია, დადებითად აფასებდა საქართველოს, როგორც „თავისუფლების პროგრამის“ ეფექტურობის

ნიმუშს, კონფიდენციალურად აფრთხილებდა მიხეილ სააკაშვილს, რომ რუსეთთან მწვავე დაპირისპირების შემთხვევაში ამერიკა მას ვერ დაეხმარებოდა.

მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, უფრო მეტად აშშ-ის საჯარო განცხადებებს დაუჯერა, ვიდრე კონფიდენციალურ გაფრთხილებებს და 2008 წლის აგვისტოში (რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი) სამხრეთ ოსეთის დაბრუნების მიზნით სამხედრო ოპერაცია წამოიწყო, რომელიც ფაქტობრივად რუსეთთან ომს ნიშნავდა. ანაზღაურებული ოპერაციით თავდაპირველად მან შეძლო მოსკოვის შოკში ჩაგდება, მაგრამ თავის მხრივ რუსეთმაც სწრაფად იმოქმედა და საქართველოს არმია განადგურების პირას დადგა. მიხეილ სააკაშვილი ტყუილად ეხვეწებოდა ამერიკას, იქნებ როგორმე დახმარებოდა. „საქმე აღადგინებდა საქართველოს, საქმე უკვე ეხება ამერიკულ ფასეულობებს, რომლისაც ჩვენ ყოველთვის გვჯეროდა“, — ამბობდა მიხეილ სააკაშვილი. „თუ ახლა მსოფლიო რუსეთს ვერ შეაჩერებს, რუსული ტანკები და რუსი მედესანტები მალე ევროპულ დედაქალაქებშიც გამოჩნდებიან“, — აცხადებდა მიხეილ სააკაშვილის თანამოაზრე ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკოსი.

მაგრამ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიული ინტერესების მნიშვნელობა აშკარად აჩარბებდა აშშ-ის ინტერესებს, ვაშინგტონის მზადყოფნას კონფლიქტში ჩაბმულიყო შორეული საქართველოსთვის, რომლის გეოპოლიტიკური სარგებლიანობა ამერიკისთვის აშკარად არ ჩანდა. ზოგადად, შეერთებულ შტატებს ნამდვილად არ სურდა რუსეთთან ომი სამხრეთ ოსეთის გამო, საქართველოს პრეზიდენტის ლამაზი და მსურველი განცხადებების მიუხედავად.

მიხეილ სააკაშვილმა, რომლის პარტიამ 2012 წელს საპარლამენტო არჩევნები წააგო, პრეზიდენტობის ვადის ამონაწერის შემდეგ მზერა უკრაინის მიაპყრო, სადაც მორიგი ხმაურიანი შიდა კონფლიქტი იწყებოდა. 2014 წელს, კიევი სელისუფლების შეცვლის შემდეგ, უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში, რომელსაც ფარულად მხარს რუსეთი უჭერდა, კონფლიქტი დაიწყო. ამ სიტუაციაში მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ახლადარჩეულ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს და პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკს აშშ-სგან მხარდაჭერის მიღების საკითხში ეხმარებოდა. უკრაინის ლიდერებიც აცხადებდნენ, რომ თუ ამერიკა მათ არ დაეხმარებოდა, რუსეთი ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას გააკონტროლებდა.

მაგრამ ამ შემთხვევაში სცენარმა უარესად იმუშავა: 2008 წელს რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი ცდილობდა საქართველოს კრიზისი წინასაარჩევნო კამპანიაში გამოეყენებინა დემოკრატიის

წინააღმდეგ. იგი ამბობდა, რომ დემოკრატი ბარაკ ობამას სულაც არ ადარდებს ჩვენი მოკავშირის ბუდი, რომელსაც მოსკოვი ემუქრება. ბარაკ ობამა იძულებული გახდა შეეზღუდა შეეწყვიტა და განცხადება გაეკეთებინა რუსეთის აგრესიის დაგმობის თაობაზე. თუმცა მოგვიანებით, 2014 წელს მან აღიარა, რომ უკრაინა, ისევე როგორც საქართველო, უფრო მეტად მნიშვნელოვანია რუსეთის ინტერესებისთვის, ვიდრე ამერიკისთვის. იგი მიხვდა, რომ აშშ-ის მესიანურ პროექტებს ერაცსა და ავღანეთში არაფერი სასიკეთო არ მოუტანია. საბედნიეროდ, პრეზიდენტმა მხარი არ დაუჭირა თანაპარტიელების მონოდებებს უკრაინისთვის სასიკვდილო იარაღის მიცემის თაობაზე.

შემდეგ ხელისუფლებაში დონალდ ტრამპი მოვიდა. მან დაიწყო რიტორიკა დევიზით „ამერიკა უბრველეს ყოვლისა“ და ნატოს კრიტიკა, თუმცა მალევე უკან დაიხია. აშშ-ის პრეზიდენტის პოზიციის საეჭვო ცვლილება არა მარტო ხაზს უსვამს მის ექსცენტრიულობას და ნათელი ხედვების არარსებობას, არამედ იმის დემონსტრირებასაც ახდენს, თუ რამდენად მტკიცედ არის ჩანერგილი ინტერენციონიზმი აშშ-ის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში, ასევე ამერიკელთა წარმოდგენებში. ბევრმა ამერიკელმა, რომელიც დონალდ ტრამპს აკრიტიკებდა ქალებისა და იმიგრანტებისადმი დამცინავი დამოკიდებულების გამო, შვიდად მიიღო ინფორმაცია სირიის „ტომპაჰევერითა“ და ბომბებისა და ავღანეთში „ყველა ბომბის დედის“ ჩამოგდების თაობაზე. ზოგიერთს გაეხარდა კიდევ.

ომის შესახებ ორი ნარატივის — რუსული და ამერიკული — შედარება გვიჩვენებს, თუ რამდენად აბნევეს ქვეყანას ეროვნული მითები. ჩვენ ვგმობთ რუსეთის ცბიერ პოლიტიკას, როცა მოსკოვი აცხადებს, სირიაში ჰუმანიტარიანი მოსაზრებით ვიბრძვით, მაგრამ როცა ჩვენ თვითონ ერაყში, ლიბიასა თუ სირიაში ვიჭრებით, ვამბობთ, რომ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატია ვიცავთ. ჩვენ დავცინით რუსულ პარანოიულ შიშებს ნატოს გაფართოების თაობაზე, მაგრამ ჩვენ თვითონვე პანიკაში ვვარდებით იმ მიტქმა-მოტქმის გამო, რომ არიქა, დავილუპეთ, რუსეთი ჩვენს არჩევნებში ერევო. ჩვენ შემფრთხილები ვართ რუსეთის არმიის შეიარაღებით და ვივიწყებთ, რომ ჩვენ თვითონვე უფრო მეტი და კარგი შეიარაღება გვაქვს. მოკლედ, საჭიროა რუსულ ხედვებში კარგად გავერკვეთ, რომ რუსების ქცევა გავაცნობიეროთ. ეს ჩვენ საკუთარი ილუზიებიდან გამოსვლაში დაგვეხმარება“.

„The New Republic“ (აშშ)

## საპარატიზმს წარმოუშობს ან შიშული ან ძალიან დიდი სიფიქრი!..

აბას კატალონიის აბაღალითის ადასტურებს

**(მესამე გვერდიდან)** — მსოფლიო აზრი იქითგან ხომ არ იცვლება, რომ ამერიკელების მიერ დაშვებული შეცდომა სანანებელი ხდება? გგულისხმობ კოსოვოსთან მიმართებით დაშვებული პრეცედენტი.

— შესაძლოა, კოსოვოსთან მიმართებით რაღაცის წახალისება მოხდა, მაგრამ კოსოვო სრულიად გამორჩეული შემთხვევაა. ეს ბალკანეთის კრიზისის საკითხია. რა თქმა უნდა, კოსოვოსთან მიმართებით ცუდი რამ დაუშვეს, გარკვეულწილად, ეს სეპარატიზმის მხარდაჭერად შეიძლება აღვიქვათ, შეიძლება, ნანობენ კიდევ ამას ამერიკელები, მაგრამ ყოველთვის, როცა კოსოვოზეა საუბარი, ამერიკელები ხაზგასმით ამბობენ, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული პრეცედენტად. თუმცა კოსოვოს შემთხვევა ჩვენთვისაც ძალზე ცუდი იყო და რუსეთმა კოსოვოს პრეცედენტი გამოიყენა.

მართალია, ამერიკელები და ევროპელები გვამშვიდებენ, რომ კოსოვო არ არის პრეცედენტი, მაგრამ რუსეთმა ჩათვალა ისე, რომ, თუ იმათთვის შეიძლებოდა, მათთვისაც დასაშვებოდა იყო. ესპანეთში კი რაც ხდება, სრულიად სხვა შემთხვევაა. ესპანეთს ეს პრობლემა დიდი ხანია, უდგას და ძალიან ღრმა ფესვები აქვს. გაიხსენეთ ესპანეთის სამოქალაქო ომი, სწორედაც კატალონია იყო ფალანგისტების ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე. შემდეგ უკვე, ფრანკოს ბოლო წლებში, როცა ესპანეთი ახალ დემოკრატიულ იღებდა და, როცა მონარქია აღდგა, რეგიონული მონაწილე აირჩიეს, რადგან ეგონათ, რეგიონალიზმი გააჩერებდა სეპარატიზმულ ტენდენციებს. მაშინ უფრო მწვავე იყო ბასკეთის პრობლემა, ბასკური ექსტრემიზმი და ბასკი ტერორისტები. მაგრამ ბასკეთი, ასე თუ ისე, გაჩერდა, ბას-

კებს რეგიონალიზმმა „მოუარა“, რადგან ძალზე ფართო უფლებები მისცეს.

შემიძლია გითხრა — ბასკეთს რომ უფლებები აქვს ახლა, ევროპის არც ერთ ფედერაციაში ამდენი უფლებები აქვს. ამაზე მეტი უფლებები წარმოუდგენელია და მაინც ითხოვენ გასვლას.

— და იმითაც ხომ არ აიხსნება, რომ კატალონია ყველაზე მდიდარია და კატალონიელებს არ სურთ, შეინახონ დანარჩენი ესპანეთი?!

— ესეც არის, მათ არ უნდათ, შემოსავლის მიცემა სხვებისთვის.

— მაგრამ ფრანსისკო ფრანკომდე კატალონიელები დამოუკიდებლობაზე ფიქრს ვერ ბედავდნენ, ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ კი ავტონომია მოიპოვეს.

— კი ბატონო, ფრანკოს რეჟიმი რეპრესიული იყო და სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ხელი სწორედ კატალონიაში იგრძნობოდა. კატალონია იყო რევილუციონერების, მემარცხენე ძალების დასაყრდენი. მიმე დღეები გაიარა მაშინ კატალონიამ, მაგრამ შურისძიების წყურვილი გაჩნდა, ანტიფრანკისტული სამოქალაქო აქტიობები არსებობდა, რესპუბლიკური სული კატალონიაში ყოველთვის ძლიერი იყო. მონარქია რომ აღდგა, ესეც ვერ აიტანეს კატალონიელებმა. მოგესხენებათ, ესპანეთი მონარქიული სახელმწიფოა, კატალონია თუ გავა, ის აპირებს, რესპუბლიკა იყოს. ამიტომ რეგიონალიზაციასთან დაკავშირებით ფრთხილად მიდგომა საჭიროა. მით უმეტეს, ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— კატალონის კრიზისის გამწვავებაში ესპანური მედია

წლების განმავლობაში რუსულ კვალს ხედავდა. თქვენ თუ ხედავთ ამ კვალს, თუ მოდად იქცა მსოფლიოს ნებისმიერ მოვლენაში რუსული ზრახვების დანახვა?

— ახლა ყველაფერში რუსულ კვალს ხედავენ. ისე კი, კატალონიაშიც იქნება რუსული ინტერესები. რუსეთი ისე არ გაჩერდება, თავისი კვალი არ დააჩნიოს მოვლენებს. თუმცა რუსეთის მხრიდან მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეეჭვება.

— ესპანეთის ხელისუფლების სისუსტითაც ხომ არ ისარგებლეს კატალონიელებმა?

— ესპანეთი დემოკრატიული სახელმწიფოა, თანაც, ძალზე განვითარებული სახელმწიფო. ესპანეთის ხელისუფლების სისუსტეს პირდაპირ ვერ ვიტყვი, უბრალოდ, დემოკრატია და კარგმა ცხოვრებამ მოიტანა ის, რომ რეგიონალიზმიც არ ყოფილა გამოსავალი სეპარატიზმული განწყობის მოსათოკად. ზოგადად, რეგიონალიზმი აჩერებს სეპარატიზმულ განწყობას, მაგრამ, როცა კარგი ცხოვრება დგება, სეპარატიზმული განწყობა წარმოიშობა. ასე რომ, სეპარატიზმს წარმოშობს ან შიშული, ან ძალიან დიდი სიმდიდრე. თუმცა ეს მაინც ევროპა და იმედია, ამას პოლიტიკური გამწვავება არ მოჰყვება. ვგულისხმობ სამოქალაქო ომებს და უბედურებას, რაც თავის დროზე გადაიტანა ევროპამ. თუმცა მეტი რა უფლებები უნდა გაუფართოონ კატალონიელებს, როცა ლამის ყველა უფლება მისცეს?

ესაუბრა ბანანა ნოუბადი

...დირიჟორის წინ სიმონის ოფელში ვინურები. უკვე მერამდენედ ვიმეორებ მალ-ნახის ფრაზას ზაქარია ფალიაშვილის ოპერადან „დაისი“. იგი დაჟინებით მითხვას სა-ოპერო პარტიის მცირე მონაკვეთის რიტმულად შესრულებას. თავს ვაკლავ, მთელი ყურადღების დაძაბვით ცდილობ მაესტროს მოთხოვნებს დავემორჩილო და ზუსტად ისე შევასრულო, როგორც მას სურს. დიდი შრომისა და წვალუბის შემდეგ დირიჟორი ჩერდება, ესე იგი ყველაფერი კარგადაა, მუსიკოსის მიერ ჩემ მიმართ დასმული ამო-ცანა ამოსხნილია. ამის შემდეგ უკვე ოპერის სხვა მონაკვეთზე გადავდივართ. სადაც მას შენიშვნა არა აქვს, იმ ნაწილს სწრაფად გავდივართ, თუმცა მისგან არასოდეს გა-მიგონია ამა თუ იმ ვოკალური ფრაზის თუ მონაკვეთის შესრულება შეექოს ან კმაყო-ფილება გამოეთქვას. მხოლოდ „თავო ჩემოს“ არის სიმღერის დროს იმეტიბდა საქე-ბარ სიტყვებს, იმასაც ძალიან ძუნწად.

ასეთი გახლდათ დიდებული ხელოვანი, მუსიკოსი და დირიჟორი, გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე პიროვნება, მაესტრო დიდიმ მირცხულავა, მეცადინე-ობის დროს მკაცრი, მომთხოვნე, პირდა-პირი და უკომპრომისო, რის შემდეგაც შე-დეგი ყოველთვის სასურველი და შთაბეჭე-დავი იყო და დიდი შემოქმედებითი სიხა-რული მოქმედება.

დიდიმ ლავრენტის ძე მირცხულავა ქუ-თაისში დაიბადა 1912 წელს, მოსამსახურის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლე-ბა. მან სკოლაში სწავლის პერიოდშივე მი-იპყრო საზოგადოების ყურადღება, რო-გორც უტყუარი სამუსიკო ნიჭით დაჯილ-დოებულმა ახალგაზრდამ. 1926 წელს იგი ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში შედის საორკესტრო განყოფილებაზე. აქ მისი პე-დაგოგი იყო ჩენი მუსიკოსი ანტონ ჰაუდევი.

1930 წელს ყველასთვის მოულოდნელად დიდიმ მირცხულავა თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. უნი-ვერსიტეტში არსებობდა სასულე ორკეს-ტრი, სადაც ერთი პერიოდი იგი საყვირ-ზე უკრავდა. მუსიკისადმი ინტერესმა თა-ვისი გაიტანა და დიდიმ უნივერსიტეტს თავს ანებებს და კონსერვატორიის სადი-რიჟორო ფაკულტეტზე აბარებს, სადაც გე-ნიალური დირიჟორის ევგენი მიქელაძის კლასში აღმოჩნდა. მიქელაძემ მეტეორივით გაიღვა ქართული სამუსიკო ხელოვნების ჰორიზონტზე. სამსუხაროდ, იმდროინდელ რეპრესიულ რეჟიმს ნაადრევად შეენირა უნიჭიერესი შემოქმედის სიღრმე. მირ-ცხულავამ კონსერვატორიაში ჩარიცხვის-თანავე მიიპყრო მისი ყურადღება, რო-გორც გამორჩეული მონაცემების მქონე სტუდენტმა. სწავლის პარალელურად 1932-35 წლებში იგი აქტიურად თანამშრომ-ლობს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რო-გორც სასულე ორკესტრის დირიჟორი. 1936-37 წლებში მირცხულავა მარჯანიშ-ვილის თეატრის სამუსიკო ნაწილის ხელმძღვანელი და დირიჟორია.

# დიდი „ჯოსოსანი“ დიდიმ მირცხულავა

პავლე ხუჭუას რეცენზიაში ვკითხულობთ: „სპექტაკლში მთელი სისრულით გამოვლინ-და ნიჭიერი დირიჟორის დიდიმ მირცხუ-ლავას ოსტატობა, მკაფიო, გამომსახველი სადირიჟორო შესტი, ორკესტრისა და მომ-ღერლების ხმოვანების უნარიანი კოორდი-ნირება. მასში ყველაფერი ექვემდებარება მუსიკის მოთხოვნილებებს. ეს უდავოდ დი-რიჟორის დიდი დამსახურებაა...“



რიტიკის საუცხოო შეგრძნება, სიზუს-ტე და მტკიცე ორგანიზებული საბალე-ტო დირიჟორის ის თვისებაა, რომლის გა-მოც დიდიმ მირცხულავასადმი ყოველთ-ვის საგანგებო ინტერესს იჩენდა თეატ-რის საბალეტო დასი და აქტიურად აბამდა თავის მუშაობაში. რაც შეეხება საბალე-ტო რეპერტუარს, იგი აშკარად უხვია (თერთმეტი ბალეტი და სამი საბალეტო ნოველა). საკმაოდ დიდი ხნის განმავლო-ბაში ქართული ბალეტის გადამწყვეტ უმ-რავლესობას მირცხულავა მართავდა (გან-საკუთრებით, ვახტანგ ჭაბუკიანის საბა-ლეტო ეპოქაში). 1951 წელს დავით თო-რაძის ბალეტ „გორდას“ დადგმაში მონა-წილეობისათვის მას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დირიჟორში ყოველთვის მთავარი და წარმატების განმსაზღვრელი ხელის ელას-ტიკურობა, მუსიკალურობა, მოქნილობა, დამაჯერებელი მოძრაობა და მელოდიის შეგრძნების იშვიათი უნარია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ამა თუ იმ სპექ-ტაკლის საშემსრულებლო დონეს და მის ხარისხს. დიდიმ მირცხულავას შთაბეჭდა-ვი, სხვებისგან განსხვავებული და გამორ-ჩეული ხელი ჰქონდა. ამას ყველა აღნიშ-ნავდა. ცნობილმა მუსიკოსმა მალიაჯინმა მის ხელეტი – „მღერადი ხელეტი“ უწოდა.

1951 წლიდან დიდიმის ცხოვრებაში ახა-ლი, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება. ამიერიდან მის საშემსრულებლო შემოქმედებას, პედაგოგიური საქმიანო-ბაც დაემატა. ამ წელს თბილისის ვანო სა-რაჯიშვილის სახელობის კონსერვატორი-

სთან შეიქმნა საოპერო სტუდია, სადაც მან საოპერო მომზადების კლასში დაიწყო მუშაობა. მუსიკისა და ხელოვნების ამ შე-სანიშნავ ტაძარში მირცხულავამ უზარმა-ზარი აღმზრდელი-პედაგოგიური შრომა გასწია. ვინ მოთვლის, რამდენი ბრწყინვალე ახალგაზრდა მომღერალი მოამზადა და განვრთნა დიდი საოპერო სცენისთვის. 50 წელზე მეტხანს მოღვაწე-ობდა კონსერვატორიის საოპერო მომზა-დების კათედრაზე ჯერ პედაგოგად, შემ-დეგ – დოცენტად და პროფესორად. მისი მუსიკალური ხელმძღვანელობით მომზად-და და განხორციელდა 40-ზე მეტი ოპერა და საოპერო ფრაგმენტი. მიუხედავად იმი-სა, რომ მას კონსერვატორიაში არ მიჰყავ-და სადირიჟორო კლასი, ახალგაზრდა მუ-სიკოსები ხშირად მიმართავდნენ დახმა-რებისათვის და ისიც მუდამ სიამოვნებით და ხალისით ესმარებოდა მათ.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თე-ატრში სამჯერ შესთავაზეს მთავარი დი-რიჟორის თანამდებობა, მაგრამ არ დათან-შობდა. ამბობდა, სპექტაკლს ვინც დირიჟო-რობს, მთავარი დირიჟორიც ის არისო. ამ თანამდებობაზე ყოფნა არ სურდა, რად-გან მიაჩნდა, რომ დრო აღმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში დაეხარჯებო-და. მირცხულავას სახელს უკავშირდება ოპერის თეატრის არაერთი შემოქმედები-თი წარმატება. იგი ხომ აქ თითქმის 60 წე-ლი იდგა სადირიჟორო პულტთან. სხვა-დასხვა დროს ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა სრულიად მოულოდნელად, სასწრა-ფოდ შეუცვლია დირიჟორი და მაღალ დონეზე წარუშართავს ოპერა. მანამდე რომ არ უდირიჟორია და სპექტაკლი უხ-სნია ჩავარდნისგან.

1969 წელს ოპერის თეატრი პირველად გავიდა საზღვარგარეთ: გერმანიის ფედე-რაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთში, სადაც ქალაქებში – საარბრიუკენში, ლოქსა და ვარშავაში დიდი წარმატებით დაიდგა „დაისი“, გასტროლზე საერთო შემოქმედებით გამარჯვებას მირცხულა-ვას გამორჩეულმა დირიჟორობამაც შე-უწყო ხელი. მას სააბრიალო უცნის თეატრის საპატიო დირიჟორის წოდებაც კი მიანი-ჭეს.

წლები წლებს მისდევდა. ერთმანეთს ცვლიდნენ ახალი დადგმები და რიგითი სპექტაკლები, ყოველდღიური მუშაობა მომღერლებთან, ორკესტრის მსახიობებ-თან, კონსერვატორიის სტუდენტ-ვოკა-ლისტებთან. მიუხედავად სოლიდური ასა-კისა, ის ჩვეული ენერგიით და ინტერესით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. დიდი-მის სამუშაო განრიგი, განსაკუთრებით სპექტაკლის დღეს, წუთებით იყო გთვლი-ლი. შეიძლება ითქვას, რომ მას შემუშა-ვებული ჰქონდა თავისებური პროფესი-ული რიტუალი, რომელიც განუზრვლად მისდევდა მთელი ცხოვრების მანძილზე. ნებისმიერ რეპეტიციასა თუ სპექტაკლზე რამდენიმე საათით ადრე ვაკიდან თეატ-რამდე ფეხით მოდიოდა. გულისყურით ამონებდა დირიჟორის პულტს და ასე შე-მოქმედებდა და ფსიქოლოგიურად ემ-ზადებოდა გამოსვლისთვის. უყვარდა წეს-რიგი და დისციპლინა. იყო ასეთი შემთხ-ვევაც: სპექტაკლი გვიან დაიწყო, რაც გა-მონეველი იყო სადირიჟორო პულტის და-მატებით განმენდის აუცილებლობით.

როდესაც ვაკვირდებით დიდიმ მირცხუ-ლავას ცხოვრების გზას, განსაკუთრებული მაღლიერებით ვიმსჯელებით მისი პროფე-სიული სინდისის, აკადემიურობის და მუ-სიკალური გემოვნების მიმართ, მაგრამ, ამასთან, გვიპყრობს დაუკმაყოფილებლო-ბის განცდა იმისა, რომ ამ მართლაც საინ-ტერესო შემოქმედს, იმ დროს არსებული სი-ტუაციის გამო, მოღვაწეობის შეზღუდული არეალი ჰქონდა, როდესაც შესაძლებელი იყო მისი ბრწყინვალე ხელოვნების საერ-თაშორისო არენაზე გატანა.

მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, სა-ხელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის სა-ხელობის პრემიები, დაჯილდოებული იყო 2 შრომის წითელი დროშის, 2 „საპატიო ნიშნის“ და ღირსების ორდენებით.

პუბლიკაციაზე მუშაობისას აღმოვა-ჩინე, რომ ცხოვრებაში ამ თავმდაბალ და მორიდებულ, ხოლო თავის საქმეში პირ-დაპირ და მკაცრ პიროვნებას, საინტერე-სო იუმორიც ჰქონდა. მოვიყვანე მის ერთ-ერთ სახუმარო ჩანაწერს:

„ამ ბარათს ვწერ ჯოსოსანი მე, დიდიმ მირცხულავა, ხელოვნების ფართო გზაზე ამაყად და მედგრადა დავაღ, არ მაშინებს მითქმა-მოთქმა, არცა ჩხუბი, არცა დავა ბრძენთა უთქვამთ, ქვიშა რჩება და წყალი კი მოვა-წავა“.

უკვე 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი მაესტრო აღარ არის. 1938 წლიდან 1997 წლამდე (გარდაცვალებამდე რამდე-ნიმე დღით ადრეც კი) სადირიჟორო პულ-ტთან იდგა. ჭეშმარიტად, მან ქართულ სა-მუსიკო ცხოვრებაში გამორჩეული ადგი-ლი დაიმკვიდრა და მისი ისტორიის ერთ-ერთ შემქმნელად მოგ-ვევლინა.

**გელა ძომიაშვილი,** რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.



## კულტურის სამინისტრომ ქეთი დოლიძის „სარუკარი“ 450 ათასით დააფინანსა



„პირველი რადიოს“ ინფორ-მაციით, კულტურის სამინისტრომ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის პროექტი, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალი „საჩუქრი“, რომლის დამაარსებელიც ქეთი დო-ლიძეა, 450 ათასი ლარით დააფი-ნანსა. სამინისტროდან დოლიძის ფესტივალის დაფინანსების ფაქტს „პირველ რადიოსთან“ სა-უბარში ფესტივალისა და თეატრის დირექტორი ზურა გენაძე ადასტურებს. გენაძის თქმით,

ფესტივალს წელს საიუბილეო თარიღი აქვს და მას მისი და-მარსებელი ქეთი დოლიძე ჩაატარებს.

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, საჩუქარი შე-სადლოა, თბილისის მერიის ბიუჯეტიდანაც დაფინან-სდეს, ან უკვე დაფინანსდა. ამ საკითხთან დაკავშირე-ბით, „პირველ რადიოს“ მერიაში განუცხადეს, რომ ინ-ფორმაციას ვერ მოგვანვდიან და ის საჯარო წესით უნდა გამოვითხოვოთ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თან-ხა თეატრის ანგარიშზე ირიცხება.

„მერიიდან ჯერ თანხა არ არის გადმორიცხული. გადმორიცხულია სამინისტროს ბრძანებით 450 ათასი. ეს თანხა დაიხარჯება მიზნობრივად, არავის ჯიბე-ში არ წავა, როგორც ბიუჯეტის შესაბამისად არის განვირდი, დაიხარჯება ისე. ფესტივალი „საჩუქარი“ არის თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის პრო-ექტი, შესაბამისად, ეს პროექტი შევიდა კულტურის სამინისტროში, სამინისტრომ დაამტკიცა და გამოყო თანხები. ეს ფესტივალი ქეთი დოლიძის დაარსებუ-ლია, 20 წლის ხდება წელს და, რა თქმა უნდა, ჩაა-ტარებს და ვალდებულიც არის ჩაატაროს“, განაცხადა ზურა გენაძემ „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

## მარინა ჯანაშია სხენას დაუბრუნდა

საბართიველოს დამსახურებული არტისტი მარინა ჯა-ნაშია მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სხენას დაუბრუნდა. წე-ლიწინადასვენების პაუზის შემდეგ ცნობილმა მსახიობმა ნოქ-ტომბერს რონალდ ჰარვუდის „მოსუც ჯამბაზებში“ ითამაშა (რეჟისორი გოჩა კვანაცხე).

„რა ბედნიერებაა თე-ატრი, რა ბედნიერებაა ამ-დენი ხნის პერიოდის შემ-დეგ დაბრუნება, ასეთი დი-დი სიყვარულის საბურ-ველი მი გავხვდა. ამისთვის მართლაც ღირს ცხოვრება. მაშინაც კი, როდესაც აღარაფრის იმედი იყო, ჩე-მი გონება თეატრში ცრი-ალბდა.“ – ამბობს მარინა ჯანაშია.



მხალხური

„დინამოს“ ჩინეზანსი

თბილისის „დინამოს“ წყალბურთელ ვაჟთა გუნდი 1938 წელს შეიქმნა. მას შემდეგ არაერთ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინა თავი, განსაკუთრებით – გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. ჩვენმა გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ორჯერ მეორე (1960, 1962) და ოთხჯერ (1958, 1959, 1964, 1966 წ.წ.) მესამე ადგილები დაიკავა; რვა უძლიერესი გუნდის სრულიად საკავშირო ტურნირის (1963) გამარჯვებულმა ქართველმა წყალბურთელებმა სსრკ-ის ხალხთა სპორტაკადემიებში სამჯერ ვერცხლის (1956, 1963, 1979) და ორჯერ ბრინჯაოს (1959, 1967) მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1979 წლის სპორტაკადემიაზე მოპოვებული წარმატება, რადგან იმ ტურნირში უცხოეთის გუნდებიც მონაწილეობდნენ.

1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში სამმა თბილისის დინამოელმა – ნოდარ გვახარია (საქართველოს სახელით), პეტრე მშენიერაძემ და პეტრე ბრეუსმა (მაშინ ორივე რუსეთის გუნდებში თამაშობდა) – იასპარეზა საკავშირო ნაკრებში, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თბილისის „დინამოს“

შიც მოხვდები. ჩემი და შემდეგი თაობის წყალბურთელებისთვის თბილისის „დინამო“ ოცნების გუნდი იყო და იქ მოხვედრას უდიდეს ბედნიერებად მივიჩნევდით. მაგალითად ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, რომლებმაც დიდი ხნის პაუზის შემდეგ გუნდის აღორძინება და მისთვის უნიკალური დიდების დაბრუნება გადამწყვიტეს.

მურთაზ გულუდანი, ვეტერანი წყალბურთელი: თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში თერთმეტი სეზონი ვითამაშე, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში საუკუ-



მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვით ოლიმპიური თამაშების პრიზიორებს – ლერი გოგოლაძეს, გივი ჩიქვანიას, მიხეილ გიორგაძეს (იგი 1982 წლის მსოფლიოს და ევროპის სამგზის ჩემპიონიცაა), რევაზ ჩომახიძეს, ასევე, ვლადიმერ ისელიძეს, ოთარ მიმინოვილს, მურთაზ გულუდანს, ნოდარ კურტანიძესა და სხვებს.

22-წლიანი შესვენების შემდეგ სახელიანმა კლუბმა წაუღეს დიდ სპორტში დაბრუნება ქვეყნის ჩემპიონობით აღნიშნა. და აი, თბილისის ივეთპოლში აღორძინებული კლუბის (დამფუძნებლები არიან ახალგაზრდა წყალბურთელები, საქართველოს ნაკრების წევრები – ზურაბ ზურუა, გიორგი ხვედელიანი და მიხეილ ბალატურია) პრეზენტაცია გაიმართა. ვეტერან და ახალგაზრდა წყალბურთელებს, სპორტის ამ სახეობის ქომაგებს თბილისის „დინამოს“ დიდ სპორტში დაბრუნებას მიულოცეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ და თბილისის მერობის კანდიდატმა კახი კალაძემ. კლუბის მესვეურებმა ოლიმპიური თამაშების მედალოსნები – ლერი გოგოლაძე (1960, რომი) და მიხეილ გიორგაძე (1988, სეული) სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს.

ლერი გოგოლაძე, რომის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი: თბილისის „დინამოში“ 1956 წელს მიმინვიეს. ჯერ ჭაბუკთა გუნდში ვიყავი, შემდეგ ძირითადად მანდეს ადგილი და ორ წელიწადში საკავშირო ნაკრებ-

თესო პერიოდი. „დინამოს“ თამაში ქომაგებს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. განსაკუთრებით ის წლებია აღსანიშნავი, როცა თბილისში საერთაშორისო ტურნირები იმართებოდა უცხოური ნაკრებების მონაწილეობით. ჩვენმა გუნდმა ამ შეჯიბრებებში ხუთჯერ დაიკავა საპრიზო ადგილები. დაგვიმარცხებია უნგრეთი, იტალია, იუგოსლავია, ესპანეთი, რუმინეთი, აშშ, არადა, მათს უმრავლესობაში უმაღლესი ტიტულების მქონე წყალბურთელები თამაშობდნენ. არაფერს ვამბობ უნგრული, რუმინული თუ ბერძნული საკლუბო გუნდების ძლევაზე. აღორძინებულ „დინამოს“ უნიკალური დიდების დაბრუნებას ვუსურვებ!

ლემსო ცინცაძე

უზუ

„ბრინჯაო“ მსოფლიოდან



რუსულ ყაზანში დამთავრდა უზუს მე-14 მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა საქართველოს უზუს სანდას წევრმა მანუჩარ კვაშილავამ (მწვრთნელები – ლაშა სუმბულაშვილი და დავით კუჭავა). მან მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობა დათმო და „ბრინჯაოს“ დასჯერდა. საგულსხმოა, რომ უფროსებში ის პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც მსოფლიოზე მედალი დაიმსახურა. სამი წლის წინათ მან ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზეც დაიკავა მესამე ადგილი.

გივი ბაბუა

რჩეული



სამტმბრის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი სოლომონ კვიციანი გახდა. WORLDSPORT.GE-ს ყოველთვიურ გამოკითხვაში „თქვენ ირჩევთ“ 25 წლის მცველმა ძალიან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

ლონისძეების 795 მონაწილედან კვიციანის ხმების ნახევარზე მეტი ერგო – 54.2%.

ასეთი შედეგი მოსალოდნელიც იყო: სოლომონს მართლაც გამორჩეული დრო უდგას კარი-

სოლომონის შექმნა

ერაში და მისი ჩაგდებული თამაშის გახსენება ძნელია. რკინიგზელთა დაცვის ბურჯი განსაკუთრებით გვიმედეხა დღეს უელსთან შესარჩევ მატჩში.

მეორე ადგილზე ვაკო ყაზაიშვილი გავიდა, რომელსაც ხმების 11.9% ერგო. სამეულში მოხვდა გურამ კაშიაც – 10.7%.

რაც შეეხება დანარჩენ ადგილებს, შემდეგნაირად გადაანაწილდა:

მათე ვანაძე – 9.9%, გიორგი მერებაშვილი – 8.9%, ვაკო გვილია – 4.3%

აქვე სოლომონ კვიციანის მონაგრის შესახებ სექტემბერში:

„სოლომონ კვიციანის ირგვლივ საეჭვო არაფერია: ქართველ მცველს წარმატებული სექტემბერი ჰქონდა. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ღირსება გასულ თვეში მან ექვსჯერ დაიცვა და გოლის გატანაც შეძლო რუსეთის თასზე „კრილია სოვეტოვის“ კარში. ხსენებული 6 თამაშიდან ორი ევროპა ლიგაზე გამართა და ორივეში საუკეთესო შეფასება დაიმსახურა. ამას უნდა დაემატათ ორი სანაკრებო მატჩიც, რომელიც ასევე მაღალ დონეზე ჩაატარა.“

გიორგი შოთაძე

ლეგიონარი

იქნებ, მოგავლის ცენტრია?

18 წლის გოგა ბითაძე სერბეთის ერთ-ერთ ნაშენებელ გუნდში შედგენილ თამაშს განაგრძობს. ქართველი ცენტრი უკვე მყარად ჩაჯდა „მეგა ბიმაქსი“ სასტარტო ხუთეულში და ყველა მატჩში, რომელშიც მონაწილეობდა, პარტიზორთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

საკმაოდ პრესტიჟული ტურნირის – ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში „მეგა ბიმაქსი“ ევროლიგის წევრსა და სერბეთის ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ცრვენა ზვეზდას“ სტუმრად შეხვდა და 80:90 დამარცხდა.

სასტარტო ხუთეულში მყოფმა ბითაძემ მოუდგინა 29 წუთი დაჰყო და 19 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 4 დაფარება მოაგროვა. ახალგაზრდა ქართველმა კალათბურთელმა 16-დან 8 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანი კანადელი უკანასაზველი დილან ენისი გახლდათ, რომელმაც 21 ქულა, 3 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა, სერბმა ნიკოლა რეპინჩა კი 19 ქულას 5 მოხსნა, 6 პასი და 1 ჩაჭრა „შეაშველა“.

„ცრვენა ზვეზდას“ წარმატება ძირითადად გამოცდილმა ამერიკელმა ლე-

გიონერებმა განაპირობეს. 32 წლის ტეილორ როჩესტიმ 26 ქულას 6 პასი წაამატა, 29 წლის ჯეიმს ფელდენმა კი 21 ქულა და 5 მოხსნა იკმარა.

აღსანიშნავია ბელგრადელთა მაკედონიელი ახალწვეულის – 35 წლის პეტრო ანტიჩის თამაშიც, რომელიც სერ-



ბულ გრანდს 10-წლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა და ათ წუთში 10 ქულა ჩააგდო, ამასთან, 3 სამქულიანი გამოიყენა.

„მეგა ბიმაქსი“ თითო მოგება-წაგებათა ადრიატიკის ლიგაში მე-4 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი 7 ოქტომბერს შინ მომტენვეროს ჩემპიონ „მორნართან“ გამართავს.

ვიტალი ჯაჯარიძე

ძიუდო



ბორძალმა ძიუდოსტებმა ჩეჩნეთისა და ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირებში ოთხი მედალი მოიპოვეს. გროზნომ ისაევის მემორიალს უმასპინძლა. ქართველ ფალავანთაგან (მწვრთნელი ანზორ თენაძე) კვარცხლბეგის უმაღლეს საფეხურზე ალექსანდრე ზაალიშვილი (100 კგ) ავიდა, რომელმაც პირველ წრეში რუსეთის მოქმედი ჩემპიონი ანზაბ კოსტოვი დაამარცხა, შემდეგ კიდევ სამ მეტოქეს სძლია და 2015 წლის

ტურნირი - ორი, მედალი - ოთხი

შედეგი გაიმეორა. მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ ზურაბ კახნიაშვილი (60) და პაატა ლვინიაშვილი (90).

ქალაქ აქტობეში ყაზახეთის პრეზიდენტის თასი გუნდურში გათამაშდა. გორის ნაკრებმა (66 კგ-ვანო თოთლაძემ, 73-ტატო ტატულაშვილმა, 81-ანზორ ბიბილაშვილმა, 90-გიორგი პაპუნაშვილმა, მძიმე წონა-ონისე ბულაძემ, მწვრთნელი ნიკო ბიბილაშვილი) სასტარტო ორთაბრძოლა მასპინძელთა პირველ ნაკრებთან დათმო, მერე დამამშვიდებელში ყაზახეთის II ნაკრებს, აზერბაიჯანის და ბელარუსის გუნდებს მოუგო და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი ერგო.

თამაზ პატარიძე

# პეტიციონერი ენერგეტიკოსები მხარს უჭერენ კახა კალაძეს



**საპარტიველო ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირმა, რომელიც აერთიანებს 400-მდე ენერგეტიკის ღვანღობის მუშაკს, მათ შორის მრავალ ქვეყანაში ცნობილ და გამოჩენილ ენერგეტიკოსს, ერთხმად გადაწყვიტა, რომ მხარი დაუჭიროს ახლა უკვე ენერგეტიკის ყოფილ წარმადებელ მინისტრს, ბატონ კახა კალაძეს მინისტრის მხარე არჩევად.**

საქართველოს ვეტერანი ენერგეტიკოსები ბატონ კახას მინისტრად დანიშვნის პირველივე დღიდან გულდასმით და განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდნენ, თუ კახა, რომელიც არ იყო პროფესიონალი ენერგეტიკოსი, როგორ გაუძლებდა ამ ურთულეს დარგს, ჩვენდა სასიხარულოდ, მან არ გაანზილდა ამ დარგის დი-

დად გამოცდილი მუშაკები. აქ არ შეუდგებოდა ჩამოთვლას თუ რა გააკეთა ბატონმა კახამ მინისტრობისას, მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: მისი ხელმძღვანელობით აშენდა 19 დიდი თუ პატარა ელექტროსადგური, მოხდა მრავალი სოფლის თუ დასახლებული პუნქტის გაზიფიცირება და ელექტრიფიკაცია, აშენდა მრავალი ასეული კომლექტური ელექტროგადამცემი ხაზი, ქვესადგური და სხვა ენერგეტიკის განხორციელება 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბატონმა კახამ დღიდან დანიშნვისა, ენერგეტიკის ვეტერანები სადმი დიდი გულისხმიერება გამოიჩინა - მისი თაოსნობით

ენერგეტიკის ვეტერანებისთვის ჩამოყალიბდა დახმარების და ყურადღების ისეთი მექანიზმი, რამაც დღემდე უზრუნველყო ამ უპირველესი დარგის ღვანღობის მუშაკებისთვის ყოველმხრივ სტაბილური ყურადღება ენერგეტიკის დარგის ახალი თაობის ხელმძღვანელებისაგან, და ასეთი მიდგომები, ალბათ, დიდხანს გაგარძელებს, რაც ვეტერანებს მომავალშიც შეუძლებს ცხოვრებას, ყოფას, ფსიქოლოგიურ განწყობას.

ბატონი კახა ხშირად ესწრებოდა ვეტერანთა საიუბილეო თუ სხვა სახეობის ღონისძიებებს, თითქმის ყოველთვის აჯილდოვებდა იუბილარებს სოლიდური თანხებით საკუთარი სახსრებიდან, ამავე დროს აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა ენერგეტიკოსებს - ვეტერანი იუბილარების შესვენებებს ესწრებოდა ხოლმე ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის 4-5 ნაწილებში სტუდენტის, რომლებსაც ბატონი კახა პირადად აჯილდოვებდა ფასიანი საჩუქრით და სიგელით, რაც, დავეთანხმებით, უდიდესი სტიმული იყო მომავალი ენერგეტიკოსებისთვის.

იმედი გვაქვს, რომ მისი ოპერატიულობა, სხარტი გონება და ბუნებრივი ნიჭი, დედაქალაქის მერობის მათიანეში ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელი იქნება.

**საპარტიველო ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

## ქმის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 10 წელი მიუსაჯეს

ქუთაისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ქმის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული გ.გ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.



პროკურატურის განმარტებით, სასამართლო სხდომებზე ბრალდების მხარემ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოიკვლია. დაიკითხა ათობით მონაწილე, გამოკვლეული იქნა დოკუმენტური და ნივთიერი მტკიცებულებები, მათ შორის მკვლელობის იარაღი - გ.გ.-ს კუთვნილი სანადირო თოფი.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 8 იანვარს, საღამოს საათებში, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა გ.გ.-მ შელაპარაკების ნიადაგზე საკუთარ სახლში სანადირო თოფიდან ესროლა ქმის - კ.გ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. მიღებული ჭრილობის შედეგად კ.გ. ადგილზე გარდაიცვალა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე სასამართლომ გ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით განუსაზღვრა.

## თელავი-გურჯაანის ავტომაგისტრალზე ავტომობილი ჩამდინარედა ამოტრიალდა

ავტოსაბრტეხი შემთხვევა თელავი-გურჯაანის ავტომაგისტრალზე - სოფელ ნასამხრალში ავტომობილი სავალი ნაწილიდან გადავიდა და რამდენჯერმე ამოტრიალდა.

მანქანის მძღოლი მსუბუქად დაშავდა. თვითმხილველების ინფორმაციით, ავტომანქანა მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, რა დროსაც მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავიდა. პოლიციამ იგი ადმინისტრაციული წესით დააჯარიმა.

## იბალიაში ქარხნის ბრალდებით ქართული მამაკაცი დააკავეს



იბალიაში, 43 წლის ქართველი მამაკაცი, რომელიც რამდენჯერმე იყო სასამართლოში, ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

ის შინაპატიმრობაში იმყოფება. პოლიციის ინფორმაციით, მან სუპერმარკეტში სხვადასხვა სეცტიდან პროდუქტები მოიპარა და თანხის გადახდის გარეშე აპირებდა გასვლას.

დაკავებულს 4 თვით პატიმრობა მიესაჯა.

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგანგებულ სასამართლო პროცესში ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1962 წელს დაბადებული კ.ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით, მარნეულის რაიონის სოფელ კირაჩულანლოში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრევისას ნივთმტკიცებად ამოიღეს პოლიეთილენის პარკში შეფუთული 18,2484 გრამი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 2,2815 გრამ ჰეროინს შეიცავს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

## პოლიციის დაჭრილი თანამშრომელი საავადმყოფოში გარდაიცვალა

შსს-ს მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ზურაბ ტაკიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ეს“-ში განუცხადეს.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ტაკიძე 25 სექტემბერს შარტავას ქუჩაზე საკუთარი სახლის სადარბაზოში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი მეზობელმა იპოვა. ის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს, ტაკიძე რამდენიმე დღის განმავლობაში აპარატზე იყო შეერთებული.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

**საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრების დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს ბათუმის შემოვლითი გზის კმ-1+000 - კმ 13+325 მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).**

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე დავით სამნიძის (პ/ნ 61006011838) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ს/კ 05.35.28.375 (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N234/392) 836 კვმ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა/ნაგებობები და ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოდებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე დავით სამნიძისთან (პ/ნ 61006011838) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების (ს/კ 05.35.28.375) - მთლიან 836 კვმ-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების შესაქონლად დაბრუნებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქმედი საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. შესაკუთრებ ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შეს-

აბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრების დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 2 ოქტომბრის № 1-1/423 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N234/392-ში მდებარე, შესაკუთრების დავით სამნიძის (პ/ნ 61006011838) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.28.375), მთლიან 836 კვმ ფართობზე, მასზე არსებული შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, დავით სამნიძის (პ/ნ 61006011838) საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.28.375) მთლიან 836 კვმ ფართობზე, მასზე არსებული შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

# წლეულს ტურისტთა რაოდენობა 28,8%-ით გაიზარდა

მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის ინტერვალში, ქვეყანაში უკვე 5 822 835 ვიზიტი განხორციელდა, რაც 19,2%-ით მეტია 2016 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო ტურისტული ვიზიტი 2 783 594-ით განისაზღვრა, რაც 2016 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 28,8%-ით მეტია.



მიმდინარე წლის სექტემბრის თვე კი 763 729 ვიზიტი განისაზღვრა, რაც 2016 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 20,9%-ით მეტია.

ამის შესახებ მონაცემებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ავრცელებს.

შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, 2017 წლის სექტემბერში ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

- ა) ტურისტი - 380 895 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 49,9%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 24,8%);
  - ბ) ტრანზიტი - 182 356 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 23,9%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 22,6%);
  - გ) სხვა - 200 478 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 26,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 12,7%).
- მიმდინარე წლის სექტემბერშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ რუსეთიდან ((32%), აზერბაიჯანიდან ((15,6%), სომხეთიდან ((11,8%), თურქეთიდან ((10,5%), უკრაინიდან ((0,2%) და ირანიდან ((80%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-სექტემბერშიც გამოირჩნენ დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, ლიტვა და იტალია (შესაბამისად 33%, 32%, 29%, 21%, 18%, და 16%), ახლო აღმოსავლეთიდან - ისრაელი (35%), შუა აზიის ქვეყნებიდან - ყაზახეთი (17%), უზბეკეთი (93%). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან - ბელორუსია (30%). აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 26%-იანი ზრდა.

## თუ დაქორწინებას გეგმათ, ჟირაფი დაგეგმარებთ...

აშშ-ს შტატში მცხოვრებმა მამაკაცმა კოდი ჰოლმა საყვარელ ქალბატონს ცოლობა ძალზედ ორიგინალურად სთხოვა.

იგი წინასწარ შეუთანხმდა ზოოპარკში ჟირაფის მომვლელებს, რომ ცხოველის დახმარებით სურდა მისი გულისსწორისთვის ხელი ეთხოვა.

ცერემონიის მთავარ გამორს, საქორწილო ბეჭედი წინასწარ ჩამოკიდეს კისერზე. როცა წყვილი ზოოპარკში სასეირნოდ მივიდა, ჰოლმა თავის მენეჯერს შესთავაზა ჟირაფი დაეპურებინათ. სწორედ ამ დროს, საყვარელმა ცხოველმა კისერი დასწია და მომავალმა პატარა ძალმა მისთვის განკუთვნილი სამკაული შეამჩნია.

გოგონა მაშინვე დათანხმდა კრეატიულ მიჯნურს. ისინი ამბობენ, რომ ჟირაფი სახელად, „მილი“ მათ ქორწილში პირველი საპატიო სტუმარი უნდა იყოს.



## ყველაზე ბინძური

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მაღაზიებში ყველაზე დაბინძურებული კენკრაა მარწყვი.

ტესტირებამ აჩვენა, რომ გამოკვლეული ბოსტნეულის, ხილისა და კენკრის 70 პროცენტი სოფლის მეურნეობაში გამოყენებადი ქიმიკატებიდან რომელიმე ერთერთით მაინცაა დაბინძურებული.

ყველაზე მეტი პესტიციდი კი მარწყვში აღმოჩნდა. „დაბინძურების“ მხრივ, ლიდერი არის ასევე ვაშლი და პომიდორი, ყველაზე სუფთა კი ამ მხრივ არის - კომბოსტო, ხახვი და სიმინდი.

## იხვ ერთკასიანი ოთახი სჯობს...

თუკი ოფისის რომელიმე ოთახში ექვსი და მეტი თანამშრომელი მუშაობს, თითოეული მათგანის ავად გახდომის ალბათობა 60 პროცენტით იზრდება.

თანაც ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა მხოლოდ ჰაერ-ნვეთოვანი გზით გადადებ დაავადებებზე, აღმოჩნდა, რომ ასეთ სალხმრავალ ოთახში მომუშავეებში სტრესის დონე, რომელიც იმუნური სისტემის მუშაობას თრგუნავს, გაცილებით მაღალია იმათთან შედარებით, ვინც ცალკე კაბინეტში მუშაობს.



## ბილეთების შექმნის დრო

მას შემდეგ, რაც ავიაბილეთების შექმნა გამგზავრებამდე საკმაოდ დიდ ხნით გახდა შესაძლებელი, დაკვირვებულმა ხალხმა დაადგინა, რომ გარკვეულ დროს შეიძლება მათი ბევრად ხელსაყრელ ფასად ყიდვა.



თუმცა გარკვეული ნიუანსები ამაშიც არის, მაგალითად, ზოგჯერ ავიაბილეთის ყიდვა ადრე კი არა, გაფრენის თარიღთან უფრო ახლოს გაცილებით მომგებიანია. თუმცა კი ისიცაა, რომ ასეთი ხელსაყრელი მიმართულებების წინასწარ განსაზღვრა ძალიან ძნელი საქმეა.

ამასთან, სპეციალისტები აცხადებენ, რომ ყველაზე იაფიანი ავიაბილეთების ყიდვა, საშუალოდ, გაფრენამდე 56 დღით ადრეა შესაძლებელი, რა დროსაც ეკონომია დაახლოებით 30 პროცენტამდეა. გარდა ავიაბილეთის ყიდვის ოპტიმალური პერიოდისა, საჭიროა ასევე გაფრენის დღის გათვალისწინებაც. ყველაზე დაბალი ტარიფები სამშაბათობით მოქმედებენ, ყველაზე ძვირი ბილეთები კი შაბათობითაა. სხვაობა ფასებს შორის 10 პროცენტს აღემატება.

მომზადდა ნინო ალექსანდრიამ

## განსაცინებელი ა(მ)ბები

### ტაქტი და უტაქტობა

ცნობილ ინგლისელ მსახიობ ქალს ამერიკელი ჟურნალისტი ეწვია. მსახიობთან საუბრის დროს, ჩვეულებისამებრ, მან ორივე ფეხი მაგიდაზე დააწყო. ჟურნალისტმა მსახიობს სახეზე გააკვირვება რომ შეატყო, თავის მართლება ლულულუღით სცადა. - არა უშავს რა, არა უშავს რა! - თქვა მსახიობმა ქალიძა. - ნუ გრცხვენიათ, თავი ისე იგრძენით, ვითომ თქვენს სახლში ხართ, თუ გინდათ, ოთხივე ფეხი დააწყვეთ მაგიდაზე.

### ეკონომია

შვილმა გოგო შეიყვარა და მამას მისწერა: „მამიკო, ათი შილინგი გამომიგზავნე, შეყვარებულთან ერთად ფოტოს გადავიღებ და გამოგიგზავნი“.

მამამ პასუხი მისწერა: „გიგზავნი 5 შილინგს, გოგოს ფოტო გამოგიგზავნე, შენ ისედაც კარგად გიცნობ“.

### მილიონერის სოლი

ტიხასაქალი მილიონერი საფრანგეთიდან შინ ბრუნდებოდა. - ვიცი, გაგიხარდება, - ეუბნება მილიონერი ცოლს. - პარიზში ჩინებული რუბენსი ვიყიდე. - მართლა გამახარეს - შეჰყვირა ცოლმა. - ნეტავი რამდენი ცხენის ძალა აქვს?

### მისტერ ბრაუნის ვაჟიშვილი

ათი წლის წინათ ჩემი ვაჟი შორეულ დასავლეთში წავიდა, რათა ფული ეშოვა და გამდიდრებულიყო. - მერე რა ქნა, იშოვა ფული? - ზუსტად არ ვიცი, მაგრამ

ახლანან გაზეთები წერდნენ, რომ ხელისუფლებამ ათი ათასი დაანწესა ჯილდოდ, ვინც იმას დაიჭერს.

### უშუაუპარნი

ბარსელონაში ორი უმუშევარი ხვდება ერთმანეთს და ერთი უმუშევარი მეორეს გახარებული ეუბნება: - ერთ-ერთ დღეებანდელ გაზეთში ფრანკოს გამოსვლა დაბეჭდილი და იცი, რას წერს? ექვს წელიწადში არც ერთი უმუშევარი არ გვეყოლებოდა.

- სწორია რომელი უმუშევარი გაძლებს კიდეც 6 წელიწადს.

### იღბალი

ნიუ-იორკის დეპარტამენტში ჩინოვნიკის მაგიდასთან მთხოვნელი დგას.



- თქვენ იღბალი გქონიათ, - ეუბნება ჩინოვნიკი, - მე მხოლოდ ყოველ მეთერთმეტე საქმეს განვიხილავ. დღეს უკვე ათი მთხოვნელი მივიღე და ათივე გავაბრუნე.

- მართალი ბრძანდებით, - უდასტურებს მთხოვნელი. - სწორს მეუბნებით, ის მეათე მე გახლდით.

საქართველოს რესპუბლიკა  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი  
 სპარტაკ ძოგულია  
 293-13-34  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
 გურამ გომიაშვილი  
 599 53-76-16;  
 ალექო  
 ასლანიშვილი  
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
 მამუკა ვაშაკიძე  
 514 33-33-24

გამომცემლობა:  
 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ  
 „საქართველოს რესპუბლიკის“  
 გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79  
 შპს „ახალი საუკუნე“  
 იბეჭდება გამომცემლობა  
 „კოლორ პრესი“  
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაეკ)070.4(479.22)  
 ს-323  
 ISSN 2233-3851  
  
 9 772 233 385 001

ავტორთა საყურადღებოდ!  
 რედაქციის მიერ შეუძენილი მასალის დაბეჭდვა ავტორთა ხარჯით.  
 ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულად არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“  
 უნი ბაზითა,  
 აუსილუბლად  
 წაიკითხე!

საქართველოს რესპუბლიკა	<b>უხსოვარი პალატის კარსი:</b>	<b>აივნი 6 ოქტომბრისთვის</b>	<b>დავალიაქათ, მოგზავრათ:</b>
	აშუ ფოლარი - 2.4687; პირი - 2.9071;	აქონსაგვლითი საქართველო:	ტელ: 293-13-34,
	ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.2794;	ბარი - ღაბი +4, ღაბი +22	599-79-76-79
	100 რუბლი - 4.2840; თურქული ლირა - 0.6928;	პითანი რაიონი - ღაბი -1, ღაბი +20	ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
	აქარბაიჯანული მანათი - 1.4559;	დასავლეთი საქართველო:	და sakresp@top.ge
1000 სომხური დრამი - 5.1625S.	ბარი - ღაბი +8, ღაბი +27		
	პითანი რაიონი - ღაბი +2, ღაბი +26		
	თბილისი - ღაბი +7, ღაბი +19		